პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 103 (10189) | კვირა, 1 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

დიადი დღესასწაული

ღღეს დედამიწის ყველა კუთხეში მსოფლიოს ყველა ხალხთა ენაზე მხურვალედ წარმოითქმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებათა გულში ჩამწვდომი სიტყვები:

— გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პირველი მაისი კაცობრიობის გაზაფხულის დიდი დღესასწაულია. მისი განთიადით გასხივოსნებულია ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლო, რომელიც ყველა ხალხს უნათებს თავისუფლებისა და ბედნიერების გზას.

მსოფლიოს ხალხები წელს პირველ მაისს დღესასწაულობენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად მშრომელთა მასების განსაკუთრებული დარაზმულობის ვითარებაში.

მთელ მსოფლიოში უდიდესი ცვლილებები მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე. არაჩვეულებრივად გაზარდა და განმტკიცდა სოციალიზმის მძლავრი ბანაკი, რომლის დროშის ქვეშ დარაზმულია 900 მილიონი კაცი. მათი დიადი მაგალითი აღაფრთოვანებს დედამიწის ყველა კუთხის მშრომელებს თავიანთი უფლებებისათვის, კაპიტალისტური მონობისაგან და კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

მშრომელთა მზარდი ერთიანობა ნათელ გამოხატულებას პოულობს მათს ურყევ გადაწყვეტილებაში — თავიანთ ხელში აიღონ მშვიდობის შენარჩუნების საქმე და ბოლომდე დაიცვან იგი.

— გაუმარჯოს ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას!

ამ სიტყვებს წარმოთქვამენ დღეს ყველა ქვეყნის მილიონობით დემონსტრანტები და თავიანთ თვალს მოაპყრობენ ჩვენს სამშობლოს — ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ურყევ ბურჯს.

კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ადამიანები აღზარდა ერთა თანასწორუფლებიანობისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის კეთილშობილური იდეების სულისკვეთებით. პირველი მაისის ამ საზეიმო დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები კვლავ ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ამ იდეებისადმი, თავიანთ მონოლითურ დარაზმულობას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავთ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ხელმძღვანელობს რა დიდი ლენინის მოძღვრებით ჩვენს ქვეყანაში მსხვილი მანქანური მრეწველობისა და ელექტროფიკაციის ყოველი ღონისძიებით განვითარების შესახებ, კომუნისტურ პარტიას, ისევე როგორც წინათ, თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია შემდგომი აღმავლობა მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც შეადგენს ჩვენი სამშობლოს მთელი სახალხო მეურნეობისა და ურყევი თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძველს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროს. საბჭოთა კავშირის კომუნისტიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში ნათლად გამოხატულია პარტიის მიერ დასახული ამოცანები — მძიმე მრეწველობის უპირატესად განვითარების ამოცანები. პარტიის ეს შთამაგონებელი მოწოდებანი საბჭოთა ადამიანებმა მიიღეს როგორც უდიდესი მნიშვნელობის საბრძოლო პროგრამა და თავდადებით შრომობენ ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, პირველი მაისის საყოველთაო დღესასწაულს შეხვდნენ შრომის ფრონტზე მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებით. რესპუბლიკაში გაჩაღებულმა წინასამაისო სოციალისტურმა შეჯიბრებამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

სასიხარულოა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა დედაქალაქისა და რესპუბლიკის მთელ რიგ წამყვან საწარმოთა მუშაობაში. მათი კოლექტივები ღირსეულად შეხვდნენ პირველი მაისის დღესასწაულს და წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი პირნათლად გაანაღდეს. ასეთ საწარმოთა რიცხვში არიან თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, თამბაქოს მეორე ფაბრიკა, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მოწინავე შახტები, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქრო და სხვ.

საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად პარტიის მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანის შესრულება. მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მთელ თავიანთ ძალას, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ იმას, რომ ჩვენმა ქვეყანამ მიაღწიოს ყოველწლიურად სულ ცოტა 10 მილიარდი მარცვლეულის მიღებას, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განმტკიცებას და ყოველი ღონისძიებით განვითარებას, კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდას და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წლევანდელი გაზაფხული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში. ახლა საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებულია ბრძოლა უხვი მოსავლისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. საკოლმეურნეო მინდვრებიდან ყოველდღე მოდის სასიხარულო ცნობები საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით მიმდინარეობის შესახებ.

საგარეჯოსა და ივრის, მცხეთისა და აგარის მტს-ების ზონის კოლმეურნეობებმა და მექანიზატორებმა შეასრულეს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრეს საგაზაფხულო კულტურების თესვა და ახლაც შემოქმედებითად განაგრძობენ მუშაობას.

მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმული საბჭოთა ადამიანები დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან ერთად დაუღალავად იბრძვიან სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისა და პროგრესისათვის, მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავენ მშვიდობას მთელ მსოფლიოში. და თუ ხალხთა ნების წინააღმდეგ იმპერიალისტური ბანაკის უგუნური რესვეურები შეეცდებიან გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, მაშინ საბჭოთა სახელმწიფო, მისი ერთგული მოკავშირეები, კაპიტალისტური და კოლონიური სამყაროს მთელი პროგრესული ძალები, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს დემოკრატიისა და მშვიდობის იდეებს, განახორციელებენ ისეთი ძალისა და ისეთი მასშტაბის დარტყმებს, რომლებიც ნანგრევებად აქცევს იმპერიალიზმის მთელ ძირმომპალ შენობას.

ჩვენ მოვიპოვეთ მსოფლიო ისტორიული გამარჯვებანი, რომელთა შორის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს კაპიტალისტური მონობის ხუნდებისაგან თავისუფალი ახალი საბჭოთა ადამიანი — ადამიანი შემოქმედი, რომელიც გამსჭვალულია ლენინიზმის მაღალი იდეებით, ხალხთა შორის მხურვალე მეგობრობის, თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი უღრმესი ერთგულების კეთილშობილური იდეებით.

საბჭოთა ადამიანებში ასეთ თვისებათა აღზრდას ჩვენ ვუმადლით ბრძენ კომუნისტურ პარტიას, რომლის მთელი მოღვაწეობა განისაზღვრება კომუნიზმის მშენებელი ადამიანისადმი მუდმივი მზრუნველობითა და უსაზღვრო სიყვარულით. ჩვენი ხალხიც თავის მშობლიურ პარტიას უპასუხებს მისი ლენინურ-სტალინური იდეებისადმი მხურვალე სიყვარულისა და მაღალი ნდობის ასეთივე გრძნობით.

ამიტომ არის, რომ დღეს საზეიმოდ ეღერს საბჭოთა ადამიანების გულის სიღრმიდან მომდინარე მრავალსმეტყველი სიტყვები:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

— მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

იზრდება შრომის ნაყოფიერება

თბილისის ქარხანა „დაზგამ“ წარმატებით შეასრულა ოთხი თვის გეგმა. ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება 11 პროცენტით გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. (საქდესი).

მეფოლადეებმა გაანაღდეს პირობა

რუსთავი. (საკ. კორ.). 4 თვეში გეგმის გადამეტებით მივცეთ სამშობლოს 1.700 ტონა ფოლადი! — ასეთი იყო მემარტენეთა საპირველმაისო ვალდებულება. ფაქტიურად მათ გეგმის გადამეტებით გამოადნეს ასობით ტონა ფოლადი და 60 პროცენტზე მეტი დნობა ჩქაროსნული მეთოდით განახორციელეს.

29 აპრილს საამქროს მეფოლადეებმა 10 ჩქაროსნული ნადნობი გადაუშვეს ციცხვში. ამავე დღეს № 5 ღუმელიდან სამივე ცვლის მეფოლადეებმა ა. ზარიძემ, ნ. გორლოვმა და ი. სამცოვმა ზედიზედ უზრუნველყვეს ერთიერთნახევარი საათით შემჭიდროებული დნობა და დღიური გეგმის გადამეტებით 65 ტონა ფოლადი გამოადნეს.

კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს № 1 ღუმელთან მომუშავე მეფოლადეებმა გ. ბერეკაშვილმა, დ. გოგოლაძემ და გ. სიგუამ. მათ აპრილში გეგმის გადამეტებით 460 ტონა ფოლადი მიიღეს.

აპრილის საწარმოო გეგმები ვადაზე ადრე შეასრულეს აგრეთვე მილნამზადის, ბლუმინგის, მილსაგლინავი და საურნალო საამქროების კოლექტივებმა.

საქართველოს ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობამ ოთხი თვის პროგრამა შეასრულა

საქართველოს სსრ ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის პროგრამა.

თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ, ქუთაისის აბრეშუმკომბინატმა, საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხმა საწარმოებმა ოთხი თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 144 ათასი მეტრი მზა აბრეშუმის ქსოვილი, 198 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი, 3.400 კილოგრამი დაძახული აბრეშუმის ძაფი.

თბილისის ფეხსაცმლის პირველმა ფაბრიკამ ოთხი თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 56.700 წყვილი ფეხსაცმელი. რესპუბლიკის ფეხსაცმლის ფაბრიკებმა აითვისეს გაზაფხულ-ზაფხულის სეზონის 28 ახალი მოდელის ფეხსაცმლის გამოშვება.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივმა ოთხი თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 51.000 მეტრი მზა შალეული. მთელი პროდუქციის 91,16 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა ოთხი თვის დავალების გადამეტებით გამოუშვა 777 ათასი მანეთის პროდუქცია. დავალების დამატებით გამოშვებულია 19,3 ტონა მზა ნართი, ბევრი კაპრონის წინდა.

(საქდესი).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1955 წლის 1 მაისი | № 69 | ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!
ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს.

ვულოცავ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად შემადგენლობას პირველი მაისის დღეს. ვუსურვებ ყველა ჯარისკაცსა და მატროსს, სერჟანტსა და ზემდეგს, ოფიცერს, გენერალსა და ადმირალს ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, თანამედროვე ტექნიკისა და იარაღის დაუფლებაში, საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომ ამაღლებაში.

პირველი მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

პირველ მაისს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი.

გალაკტიონ ტაბიძე
საქართველოს სახალხო პოეტი

მშვიდობის მაისი

მაისი მოდის სიმართლის თასით,
ო, მეგობრებო, სულით და გულით,
მოგონებებით მრავალ ათასით,
ია-ვარდებით ამ არეს რგულით,
თავდადებული, წრფელი, ერთგული
ხმით რომ არ ტოვებს ჩანგს
უშანგებოდ,
გვირგვინით, დაფნის ფოთლით
შემკულით
ჩვენ ვხვდებით მაისს, ამხანაგებო!

მშვიდობისაკენ იარეთ, გასწით.
არვის არ აჩნდეს დაღლა და რული,
სიმართლის დროშა სულ მაღლა
ასწით,
და გამარჯვება გვექნება სრული;
ეს ტრამალები, ჩვენს მიერ ხნული,
სანუკვარია და საგანგებო,
მოაქვს მტევნები ვაზებზე სხმული...
მგზნებარე მაისს, ამხანაგებო!

მშვიდობისათვის თავდადებული
ასეთი დიდი და სანაქებო,
ასე ბრწყინვალე და დიდებული
მაისი მოდის, ამხანაგებო!

მორიგი საწარმოო გამარჯვება

საბურთალოს აგურის მექანიზებული ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ი. ინგოროყვა, მთავარი ინჟინერი ვ. ეროშევი, პარტბიუროს მდივანი ს. კვეტენაძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. პავლიაშვილი) საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში მორიგი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა, ოთხი თვის გეგმის გადამეტებით საპირველმაისოდ 1.430.000 ცალი აგური გამოუშვა.

გუშინ ქარხანაში ცნობა მიიღეს, რომ წელს პირველ კვარტალში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ქარხნის კოლექტივს მიეკუთვნა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, პირველი საკავშირო ადგილი და პრემია 28.000 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირმა ქარხანას პირველ კვარტალში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის პირველი რესპუბლიკური ადგილი, გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია — ათი ათასი მანეთი მიაკუთვნეს.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივს პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მესამე ადგილი მიაკუთვნა ჩვენი ქვეყნის კვების მრეწველობის მანქანათმშენებელ საწარმოთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მანქანათმშენებლები ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ პირველი მაისის დღესასწაულს. ოთხ თვეში აწყობილია 24 პროცენტით მეტი მანქანა, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. (საქდესი).

ჩარხები გეგმის გადამეგზებით

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა შეასრულა ჩარხების და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმა. აპრილის გეგმის გადამეტებით აწყობილია რამდენიმე სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი.

საპირველმაისო დღეებში საწარმოს საამწყობო სტენდებიდან გადმოიღეს მილსაჭრელი ჩარხი, რომელიც განკუთვნილია 450 მილიმეტრამდე დიამეტრიანი მილების საჭრელად. დიდი წარმადობის ჩარხი განკუთვნილია მეტალურგიული მრეწველობის მილგლინვის ნაკადური ხაზებისათვის.

(საქდესი).

ახალციხელ მეშახტეთა მიღწევა

ახალციხე, 30 აპრილი. (საქდესი). 29 აპრილს № 2 შახტის კოლექტივმა 107 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის ამოღების აპრილის გეგმა.

მეშახტეებმა იკისრეს ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმა, 10 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება.

მძიმეწონოსანთა წარმატებანი

თბილისის საელმავლო დეპოს მძიმეწონოსნებმა წელს ოთხ თვეში გადაიყვანეს 1.383 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 372.793 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მძიმეწონოსანი გ. ჩახუნაშვილი, რომელმაც 40 მძიმე წონის მატარებლით ნორმის გადამეტებით გადაიტანა 13.441 ტონა ტვირთი. სასახელოდ გაანაღდეს პირობა მემანქანეებმა ნ. ავეტისოვმა, გ. ბოგვერაძემ და სხვა მოწინავე მძიმეწონოსნებმა.

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

★ ★

მეგობროგის დროშით

ლურჯად ხასხასებს ცის თაღი, და გეჩვენებათ, რომ თითქოს მხატვრის ყალმით ნაზად მოხაზული აჭარა-გურიის მთებიც ცის ლაჟვარდის გაგრძელება იყოს. საქორწილო ლეჩაქი მოუბურავთ თეთრად შეფეთქილ ალუბლისა და ვაშლის ხეებს. ღვინისფრად ჰყვავიან ჯერ მკლავტიტველა ატმის ხეები. ვაზის გაფუებული კვირტიც იმმუშნება. ნაზ „ძილისპირულივით“ ჩაგესმით ბაღებს შესეული ფუტკრის ზუზუნი.

გაზაფხული არანაკლები ძალით იგრძნობა საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში. ისე მძლავრად გადაუშლიათ ჩაის ბუჩქებს თაღები, რომ მწკრივი მწკრივზე მისულა.

რამდენი შრომა, დაუკეხრომელი ზრუნვაა ჩაქსოვილი ამ პლანტაციებში. სიხარული და სიამაყის გრძნობა ჩაღვრილა მახარაძის რაიონის მხნე, გამრჯე კოლმეურნეთა გულში. მაგრამ სხვა სიხარულიც ავსებს მათ ამ საყოველთაო დღესასწაულის — პირველი მაისის კვირაძალს. უკრაინელ კოლმეურნეთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია ჩამოსულა გურიაში, და ეს გაზაფხული ხალხთა მეგობრობის გაზაფხულად ქცეულა.

„წუთისოფელი ასეა —
დღეს ღამე უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია“.

ასე უთქვამს ქართველ ხალხს თავისი გულის ნადები — ლექსსა და სიმღერაში გამოუხატავს ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, სვე-ბედნიერებასა თუ ჟამთა სიავეში წვდომილი ეს სიბრძნე. სიცოცხლეზე უტკბესად მიჩნეული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად არაერთგზის შეხმია, შერკინებია ჩვენი ხალხი მოძალადეებს, უცხოელ დამპყრობთა ურიცხვ ურდოებს. მუდამ უტარებია გულში ის სანუკვარი ფიქრი, რომ ადამიანის ბედნიერების ნამდვილი წყარო ხალხთა შორის სიყვარული, ურთიერთგაგება, შეთვისება და მეგობრობაა.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია ის ბნელი ძალები, რომლებიც წინ ეღობებოდნენ ამ იდეალის განხორციელებას. ურთიერთგაგების, შეთვისების, დამეგობრება-დაძმობილების ეს წარმტაცი იდეალი დიდ ძმურ ოჯახში, საბჭოთა კავშირში სინამდვილედ იქცა.

ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა საპირველმაისო შეხვედრა საბჭოთა ადამიანების ამ მაღალი გრძნობის და სწრაფვის ერთ-ერთი შესანიშნავი გამოხატულება იყო.

ღრმა ისტორიული ფესვები აქვს რუს, ქართველ და უკრაინელ ხალხთა მეგობრობას, მაგრამ განსაკუთრებით ცხოველმყოფელი სახე მიიღო მან ჩვენს დიად, საბჭოთა ეპოქაში.

ჯერ კიდევ სამამული ომის წინ, 1939 წელს, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შეხვდნენ ერთმანეთს მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის და ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობების მოწინავე ადამიანები. ჩვენი დიდი სამშობლოს გულში — მოსკოვში ჩაისახა საბაგალითო შემოქმედებითი თანამშრომლობა.

და როგორც წრეები წყლის ზედაპირზე, ისე ვრცელდებოდა და ფართოვდებოდა ეს მოძრაობა, ერთი კოლმეურნეობიდან მეორეზე გადადიოდა. ამ ერთი წლის წინათ კი მოძმე რესპუბლიკის ორი რაიონი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აი ჩამოვიდნენ მეგობრები, შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლმეურნეობათა მოწინავეები, გენიჩესკელი მექანიზატორები, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ საპირველმაისო დღეებში უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაციას ნახავდით რაიონის თითქმის ყველა სოფელში, და ძნელი სათქმელია, სად უფრო საინტერესო იყო ამ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება — შრომაში, ნატანებში, ბახვში, ასკანაში, ცხემლისხიდში, დვაბზუში, ლიხაურში, ჯუმათში, ნაგომარში თუ ძიმითში.

სოფელ შრომის კოლმეურნეობა აკვანია ამ მეგობრობისა, რომელსაც უკვე აქვს თავისი მდიდარი მატეანე. შრომაში ხომ იშვიათია კაცი, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს უკრაინელ მეგობრებთან შეხვედრებში, ან მის ჭერქვეშ ღამე არ გაეთიოთ ამ მუდამ სასურველ სტუმრებს.

ძველ მეგობრებს ბევრი რამ აქვთ სათქმელი თავიანთ დღევანდელ მუშაობაზე, სამეურნეო თუ კულტურულ მშენებლობაზე.

შარშან კი გენიჩესკის რაიონის თოთხმეტი კოლმეურნეობა ჩაება მახარაძელებთან შეჯიბრებაში. შრომასთან შედარებით ბახვი, ასკანა, ცხემლისხიდი და სხვები თითქოს ახალბედები იყვნენ ამ საქმეში. მაგრამ განა მათ ნაკლები უნარი გამოიჩინეს იმაში, რომ გამოეძებნათ ახალი, ცხოველმყოფელი, შემოქმედებითი ფორმები სოციალისტური შეჯიბრების — მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ამ მძლავრი იარაღის გამოსაყენებლად. რა ფართოდ გაიხსნა მათი გული სიყვარულისა და მეგობრობისათვის. ამ შემოქმედებით თანამშრომლობაში ებმებიან მთელი რაიონის - მშრომელები, ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა.

ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობას თვალწარმტაცი ციტრუსების ბაღი გაუშენებია ზეგანზე. ბაღის ნახევარი მიუძღვნიათ მოძმე სომხეთის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობისათვის, რომელთანაც დიდი ხანია ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. მეორე ნახევარი კი ახლა მათთან შეჯიბრებულ შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობას უთავაზეს. ამ ბაღს „მეგობრობის ბაღი“ ჰქვია.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა ერთა შემოქმედებითი თანამშრომლობის წარმტაც მაგალითს უჩვენებს მსოფლიოს ყველა ხალხს, მთელ კაცობრიობას უნათებს გზას ბედნიერი მომავლისაკენ.

ა. ჯეიშვილი,
სტალინური პრემიის ლაურეატი.

პირნათლად შეასრულა აპრილის ხაწარმოო დავალება თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პირველი საამქროს კოლექტივმა. სურათზე: საამქროს ნოვატორი მბურღავი გ. ძაძამია (მარცხნივ) და ოსტატი ო. სოხაძე. გ. ძაძამიამ 30 აპრილისათვის 12 წლის გეგმა შეასრულა.

ფოტო ვ. ზარიძისა.

★

თბილისი ზეიმობს

მაისი ყვავილების თვეა. ყვავილები იფურჩქნებოდნენ ქველათაც, თვალს იტაცებდა ხალიჩასავით აფერადებული ტყეები და ველები, გაზაფხულს მოჰქონდა სილამაზე და მშვენება, მაგრამ ხალხს თავისუფლად არ უზეიმია ვარდფურცლობის თვეში.

ქართველთა სახიჭადულო მგოსანი ილია ჭავჭავაძე როცა ჩრდილოეთიდან თბილისისაკენ მოდიოდა და გასცქეროდა არაგვის ვერცხლისფერ ჩქერებს, აყვავებულ მდელოსა და მთებს, გულდაწყვეტილი ამბობდა: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?..“ მის ხმაში მრავალტანჯული ხალხის კვნესა ისმოდა.

თავისუფლებისათვის ბრძოლა ფრწინამძღოლს უხმობდნენ მშრომელები. და აი „ბაზალეთის ტბის ძორას“ ხალხისაგან დარწეული ოქროს აკვნიდან აღმობრწყინდა მზეკაბუკი სოსო ჯუღაშვილი, ამ 55 წლის წინათ მლაშე ტბების რაიონში, სადაც ახლა თბილისის ზღვა ლივლივებს, ისტორიული მაისობის დროშა ააფრიალა და... დიდ ლენინთან ერთად ნამდვილი გაზაფხული და თავისუფლება მოუტანა ხალხს.

ახლა გაზაფხულზე მზოლოდ მდელო და მთები როდი მწვანდებიან, მხოლოდ ტყემლები და ალუბლები როდი იმოსებიან თეთრი ფარჩით, გაზაფხული მხოლოდ ბუნების ზეიმი როდია!.. როცა გაზაფხული დგება, მაისის დილა თენდება, თითქოს ახალი სიცოცხლე გვენიჭება, ბუნებაში თანამონაწილეს ვპოულობთ, რომელიც ჩვენთან ერთად ხარობს, ზეიმობს.

სიხარული და ბედნიერება მოგვიტანა მაისმა ახლაც. ზეიმობენ სოფლები და ქალაქები. ზეიმობს ჩვენი თბილისი.

მახათის მთიდან მეწამული სხივები ამოიწვერა და ოქროს არშიები მოავლო საქართველოს გულს, ხაზეიმოდ მორთულ დედაქალაქს. ზურმუხტის ქვაზე ამოკვეთილ ჩუქურთმას ჰგავს იგი.

ახალ ცხოვრებას, ბედნიერ მაისს ზეიმობს მშობლიური თბილისი.

ახლა უფრო მომხიბლავია იგი. ალისფერ ჭოკვილებში გახვეული, გირლანდებით, ვარდებითა და უთვალავი ფერადი ნათურებით დამშვენებული.

პროსპექტებზე, მოედნებზე გამოფენილია დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ფერადი პანოები ასახავენ ჩვენი მზიური რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის მიღწევებს, მშრომელთა ბედნიერ ცხოვრებას.

მთავრობის სახლის სახურავზე ფრიალებს საბჭოთა საქართველოს გამარჯვების დიადი დროშა. შორიდანვე შენიშნავთ წითელ არშიას, რომელზეც გამოხატულია ყოველი პატიოსანი ადამიანის გულისთქმა:

— მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ამ ლოზუნგით შრომობენ, ქმნიან ახალ ტექნიკას, სახალხო დოვლათს, ამზადებენ სამრეწველო საქონელს, სასურსათო პროდუქტებს თბილისის საწარმოთა კოლექტივები. ახალ-ახალი გამარჯვებებით, საამაყო მაჩვენებლებით უპატაკებენ ტრადიციულ დღესასწაულს კიროვისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნების, მაუდკამვოლისა და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატების მუშები. ენერგიას არ აშურებენ თბილისელები, „რომ მოჰქუხდეს წყაროსავით სიხარული ულევი, რომ ბრწყინავდეს საქართველო მზით და თაიგულებით!“

ხალამოს, როცა ბინდი ეფინება თბილისს, სადღესასწაულო ილუმინაციებით მორთულ ქალაქში ელვარე ჩირაღდნები ინთება, სიხარულით ივსება გული...

ახალ ცხოვრებას, ბედნიერ გაზაფხულს ზეიმობენ თბილისელები.

ბუნებისა და ხალხის ზეიმია გაზაფხული ჩვენს ქვეყანაში. ეს მარადიული გაზაფხულია, მოტანილი და დამკვიდრებული დიდი ოქტომბრის მიერ. რა კარგად შეურქმევია ხალხს ოქტომბრისათვის — კაცობრიობის გაზაფხული. რა მოხდენილად თქვა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ:

„და მე,
როგორც
ბრძოლახა და
შრომაში შობილს,
კაცობრიობის
გაზაფხულის
კისკასს,
ვუმღერი
ჩემს სამშობლოს,
ჩემს რესპუბლიკას!..“

მთელი ჩვენი ცხოვრება, თვალწარმტაცი სამშობლო — ეს ნამდვილი გაზაფხულია.

ვ. ჯალაღანია.

★ ★

აღმავლობის გზით

აპრილი გავიარეთ, მშვიდი და თბილი აპრილი. ბუნება იღვიძებს და სულს იდგამს, იწყება მჩქეფარე სიცოცხლე.

მაისს ვეგებებით, გაზაფხული ზეიმობს! ჩემს სამშობლოს ლურჯად მოკამკამე ცა დაჰყურებს. მთასა და ველს ხავერდის მწვანე სამოსელი შეუკერავს, ჰაერში გაბნეულა გატეხილი ყამირის, თეთრად აყვავებული ტყემლისა და ია-სამნის სურნელება.

მშვენიერია ჩემი სამშობლო! შეჰყურებთ მის განანლებულ ბუნებას და გული სიამით გევსებათ. ყველგან — მთასა და ბარში, ქალაქად თუ სოფლად თავდადებული, შთაგონებული შრომაა გაჩაღებული. დიდი და პატარა, ქალი და კაცი მუშაობს, ქმნის ახალს, უკეთესს, აშენებს ბედნიერ მერმისს და უხარია, რომ თავისი ბედის გამომჭედი თვითონ გამხდარა.

როცა თვალს გადავავლებ ხოლმე ჩვენს დიდ სამშობლოს, ამ აყვავებულ წალკოტს იკობ გოგებაშვილის ერთი წიგნის სათაური გამახსენდება — „რანი ვიყავით გუშინ?“ და მინდა ომახიანად დავიძახო: ხედავთ, რა სასწაულის მოხდენა შეუძლია საბჭოთა ადამიანის მარჯვენას!

აი ჩემი ჭაღარა დედაქალაქი! ლაღად მივაბიჯებ ხეივნებით დაფარულ და მრავალსართულიანი შენობებით დამშვენებულ პროსპექტებზე და მიხარია, რომ საყვარელი თბილისის პოეტი ვარ. ჯერ ისევ თვალწინ მიდგას ძველი თბილისი, თითქოს გუშინ იყო! სად გაქრა ასე უცბად ის იწროები, ორ კაცს რომ ერთად გავლა უჭირდა!

და განა მარტო დედაქალაქმა იცვალა ნირი? ეროვნული არქიტექტურული ანსამბლებით დამშვენდა რესპუბლიკის რაიონული ცენტრები, საკურორტო ქალაქები, საკოლმეურნეო დაბები. სოხუმი ერთ-ერთი ულამაზესი ზღვისპირა ქალაქია, ხოლო „სავარდო და სამაისო“ ქუთაისი მეორე ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრად გადაიქცა. ფაბრიკა-ქარხნების ამაყად აზიდული მილები, ინსტიტუტები, საშუალო სასწავლებლები, მუზეუმები, თეატრები და კლუბები, კეთილმოწყობილი პარკები, სკვერები — მჭევრმეტყველურად ღაღადებენ მის გრანდიოზულ მიღწევებზე.

გორი — ეს ქართლის გული, ანდამატივით რომ იზიდავს ყველა პატიოსან ადამიანს, თვალმარგალიტად გადაქცეულა. რუსთავი? მარტო რუსთავი რად ღირს! ტრიალ მინდორზე რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში აღმოცენდა უმშვენიერესი საწარმოო ქალაქი.

საბჭოთა ადამიანი სამართლიანად ამაყობს თავისი გამარჯვებებით. იგი შრომისმოყვარეა, ახლის მაძიებელი, თესავს სიკეთეს, ებრძვის სიავეს. ძის თვალშეუდგამ სამშობლოში გიგანტური მშენებლობაა გაჩაღებული... ამიტომ არის, რომ ყველა საშუალებით ვებრძვით მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ხალხს ყველაზე უკეთესად ესმის და იგი ყველაზე უკეთესად აფასებს მშვიდობის მნიშვნელობას პროგრესული კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. ჩვენი სამშობლო არასოდეს არ დამუქრებია სხვა ქვეყნის დამოუკიდებლობას, მაგრამ მას არაერთხელ უხდებოდა უცხოელ დამპყრობთა მოგერიება, მტრისაგან თავის დაცვა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ქართველი გლეხი მინდორში გუთანს ისე ვერ გაიტანდა, რომ თან ხმალი არ წაეღო; ხელი თუ გუთანზე ეკიდა, თვალი საზღვრისაკენ ეჭირა, რათა მუხანათი მოძალადე ქურდულად თავს არ დასხმოდა. ქართველ ადამიანს ენატრებოდა უშფოთველი წუთები, ენატრებოდა კერაში ცეცხლი მშვიდად გაეჩაღებინა და ცოლშვილთან ტკბილად ესაუბრნა.

სამართლიან ბრძოლებში დაიბადა საბჭოთა დიდი ოჯახი. სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა ადამიანები სპობდნენ შინაური მტერს, ანადგურებდნენ შემოსეულ ინტერვენტებს. დიდი სამამულო ომის დროს მათ მოსპეს ჰიტლერელთა ურდოები და ამით იხსნეს კაცობრიობა მეოცე საუკუნის ბარბაროსებისაგან.

ჩვენ ვაშენებთ ახალ ცხოვრებას, ვაშენებთ მომავალს შეუპოვრად და მგზნებარედ. ის, ვინც მომავალს აშენებს, გულწრფელად იბრძვის მშვიდობისათვის. ბურჟუაზიულმა სამყარომ დრო მოჭამა, მოძალადენი სისხლისღვრით ცდილობენ გაიხანგრძლივონ არსებობა, მაგრამ ეს ის ხავსია, რომელიც წყალწაღებულს ვერ უშველის...

მშვიდობის ძალები დღითიდღე მრავლდება, საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა ასეულ მილიონებს რაზმავს თავის გარშემო. ჩვენ მშვიდობა გვინდა! საბჭოთა ხალხი შეუდრეკლად განაგრძობს თავის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

საბჭოთა მწერალი მუდამ ხალხთან იყო, არის და იქნება.

ი. გრიშაშვილი,
სტალინური პრემიის ლაურეატი.

ელექტროაგრეგატები ყიზლარის საძოვრებზე

ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე გაზაფხული ძალაში შევიდა. მწყემსები ემზადებიან საზაფხულო იალაღებზე მრავალთასიანი ფარების გადასარეკად. მწყემსები სიხარულით შეხვდნენ ლენინგორის მტს-იდან ცხვრის სპარსული ელექტროაგრეგატების ჩატანას. ამ აგრეგატების მუშაობას ხელმძღვანელობს ინჟინერ-მექანიკოსი გ. მამფორია.

პირველად შეუდგნენ პარსვას სოფელ ჭორჭოხის კოლმეურნეობის ფერმებში. ყველა მპარსავი დაეუფლა ტექნიკას და წარმატებაც მოიპოვა.

სოფელ მიდელაანის კოლმეურნეობის უხუცესი მწყემსი ყ. გოროზაშვილი, რომელსაც 45 წელი მწყემსად უმუშავნია, დაეუფლა მექანიზმებით პარსვის ტექნიკას და თვითეულ ცხვარზე ჩააბარა 1,5 კილოგრამი მატყლი. პარსვაში თავი ისახელეს აგრეთვე ა. ჭენქაძემ, გ. ციგოევმა, შ. გურნიევმა, ი. ციგოევმა, ვ. ჭენქაძემ, შ. ბიგანოვმა.

ცხვრის მექანიზებული პარსვა წარმატებით გრძელდება. მწყემსები ახალი შრომითი წარმატებებით ხვდებიან და სიხარულით ზეიმობენ 1 მაისს ყიზლარის საძოვრებზე.

ვ. ლორთქიფანიძე,
ლენინგორის მტს-ის დირექტორი.

ჩორნი რინოკი.

რუსთავი დღეს

რუსთავის მცხოვრებნი ამაყობენ თავიანთი ლამაზი ქალაქით, შესანიშნავი ცენტრალური პროსპექტით, რომელიც თამამად უწევს მეტოქეობას სახელგანთქმულ რუსთაველის პროსპექტს; ამაყობენ თავიანთი წარმტაცი პარკით, სტადიონით, კულტურის სახლით, კრიალა ქუჩებით და, რაც მთავარია, თავისი ახალთახალი, თითქმის საბოლოოდ დამთავრებული ქარხნით, რომლის მაღლა ატყორცნილი კვამლსადენები გიგანტური ფუნჯებივით ზეცაზე ბოლის წარწერებს აკეთებენ; ამაყობენ იმით, რომ მათი ქარხანა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის აწყობილ-გამართული.

და მართლაც არ შეიძლება არ იამაყო ამ შესანიშნავი, ახლად დაბადებული, ზღაპრულად მოკლე დროში აშენებული ქალაქითა და ქარხნით. ამიტომ რუსთავი მარტო ამ ქალაქის მცხოვრებთა სიამაყეს კი არა, იგი მთელი ქართველი ხალხის, მთელი საბჭოთა ხალხის სიამაყეს წარმოადგენს.

მეტალურგიული ქარხანა — ხშირად გვესმის და ვიმეორებთ ჩვენ, მაგრამ ბევრს წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, რომ სინამდვილეში ეს ერთი საწარმო გიგანტური ქარხნების კომპლექსია, რომ ყოველი საამქრო მეტალურგიული გიგანტისა თავისთავად დიდი და რთული ქარხანაა თავისი უბნებით, საკუთარი მეურნეობით, მასალის საწყობებით. ყოველ ამ ქარხანა-საამქროს ჰყავს უთვალავი სპეციალობის მუშა — მებრძმედეები, მეფოლადეები, მგლინავები, ოპერატორები, აირის მიმწოდებელნი, მექანიკოსები, ხარატები, მემანქანეები, პულტის მმართველები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი სახის ოსტატი შრომობს ამ დიდ წარმოებაში, ყოველ საამქროში.

შეუძლებელია იმის თქმა, რომ ერთი რომელიმე ოსტატის ან მუშის სამუშაო ადგილი ქარხანაში ნაკლებად პასუხსაგები იყოს მეორეზე, მაგრამ ცხადია ისიც, რომ ყველა ერთნაირი სიძნელის როდია, და თუ ვაქკაცობაზე ჩამოვაგდებთ სიტყვას, მეტალურგიულ მრეწველობაში არის მთელი რიგი გადამწყვეტი უბნები, სადაც მართლა რომ ვაქკაცებია საჭირო.

პირველ რიგში ესენი არიან მებრძმედენი, რომელნიც გავარვარებულ ბრძმედთან დგანან.

ვის არ გაუგონია ქართულ ზღაპარში რკინის ქალამნები. ცხადია, აქ რკინის ქალამნებს გადატანითი მნიშვნელობით ამბობენ, მაგრამ თუ ეს ზღაპარში და ხალხურ თქმაში, ისიც არაპირდაპირი მნიშვნელობით არსებობს, მებრძმედეს მართლაც ნამდვილი რკინის ქალამნები აცვია ფეხზე, რადგან ის მუდამ გავარვარებული ლითონის ღვართქაფის გვერდით დააბიჯებს და თუ არა ნამდვილი რკინის ქალამანი, ისე მას ვერავითარი ფეხსაცმელი ვერ გაუძლებს. არა თუ ფეხსაცმელი, მისი სქელი ტრეზენტის სპეცტანსაცმელი გამდნარი თუჯის შხეფით, ნაპერწკლებით, გავარვარებული ხენჯით ისე სწრაფად იწვის და ნაფლეთებად იქცევა, რომ მას მალმალე ახლით სჭირდება შეცვლა.

როდესაც ლითონისა და წიდის საშვები ხვრელები დაკეტილია, მაშინ საბრძმედეში შედარებით გრილა, მაგრამ როდესაც ღარებში გამდნარი თუჯი ან წიდა მოედინება, მაშინ მებრძმედეებს თონეში ჩაკიდებულ მეპურესავით ასდით ალმური. მართალია, იქვე გიგანტური ვენტილატორები დგანან, რომლებიც თითმფრინავის პროპელერებივით ზუზუნებენ და ქარს აყენებენ, მაგრამ მებრძმედეები მათ იშვიათად ხმარობენ. — ქარმა თავზე ქუდი არ დაგვიყენაო — ხუმრობით ამბობენ ისინი.

ვათვალიერებ გიგანტურ ნაგებობას, მაღლა აზიდულ ბრძმედის ღუმელს, გავარვარებულ ღარებს, გიგანტურ მილებს, ამწე მექანიზმებს, უძირო ქვაბებს და გუნებაში აღტაცებით ვფიქრობ მართლა იმ ვაქკაც და ხელმარჯვე ბიჭებზე, რომლებიც აქ მუშაობენ.

* * *

მესამე სართულზე ახალი ბინის თეთრად შეღებილ კარზე დავაკაკუნეთ.

— ვინ გნებავთ? — გვკითხა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ხელში ერთი წლის ბავშვი ეჭირა.

— იოსებ პაპუნაშვილი აქ ცხოვრობს?

— დიახ, მობრძანდით, — ფართოდ გაიღო კარი ახალგაზრდა დიასახლისმა.

ახლად შეღებილი იატაკი სარკესავით ლაპლაპებს. მე გულმოდგინედ ვიწმენდ ფეხს კარის წინ დაგებულ სველ ტილოზე, რადგან ვიცი, რომ ეს არის სტუმრის ყოფაქცევის პირველი სერიოზული გამოცდა ყოველი დიასახლისის თვალში, და ბინაში შევდივარ. ეს არის ახალთახალი ოროთახიანი ბინა თავისი დერეფნებით და სხვა სათავსოებით. ოთახში ავეჯი მცირეა. მე უკვე ვიცი რატომ! პაპუნაშვილი წინათ ერთ ოთახში ცხოვრობდა. ცხადია, ერთ ოთახში ბევრი ვერაფერი დაეტეოდა და ახლა, როდესაც თავისი ავეჯი ახალი ბინის ორ ოთახში და სამზარეულოში გაანაწილა, ბევრად არ გამოჩნდებოდა.

ახალგაზრდა მებრძმედე იოსებ პაპუნაშვილი მომავალს იმედიანად შეჰყურებს. ოცდარვა წლის ასაკში უკვე სამი შვილის მამას, რომელსაც რკინის ქალამნები ჩაუცვამს და ცვლაში თავის ოთხ თანამშემწესთან ერთად შვიდასზე მეტ ტონა გადამდნარ თუჯს უშვებს გიგანტურ ქვაბებში, განა შეიძლება საუკეთესო მომავლის გზა არ ედოს წინ? განა ეჭვი შეეპარება ვინმეს, რომ მისი მეუღლე ალბათ უკვე ფიქრობს, რომ დანაზოგით თავისი მეზობლების დარად ახალი საწოლები, სარკიანი შიფონერი და სასადილოს გარნიტური შეიძინოს. მას კიდევ მეტი აქვს განზრახული, და ალბათ ამ განზრახვას კიდევაც შეისრულებს. თუ ჩვენ მათ რამდენიმე წლის შემდეგ ვეწვევით, ვნახავთ მომხიბლველ სურათს, როდესაც მისი გოგონა ნუნუ თავზე დიდი ზანტი პიანინოსთან მიცუნცულდება, სკამზე დასკუპდება და პატარა თითებით კლავიშებს ააზმიანებს.

ამის საწინდარია ისიც, რომ პაპუნაშვილი — მელაანელი ახალგაზრდა კაცი, მებრძმედედ გამოწრთობილა, გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს და თვეში ორიათას მანეთზე მეტს იღებს.

— ახლა როგორ გაქვს საქმე? — ვეკითხები იოსებს.

— არც ისე კარგად, — ოდნავ დალრემით მეუბნება ის, — გეგმას ვერ ვასრულებთ. აქამდე კოქსი რუსეთიდან მოგვდიოდა და გეგმას ყოველთვის გაჭარბებდით. ახლა ჩვენი საკუთარი კოქსქიმიური ქარხანა ამუშავდა, მაგრამ ჩვენი კოქსი ჯერჯერობით ვერ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს, — ზედმეტად ნესტიანია, მაგრამ მეკოქსეები გვპირდებიან, რომ მალე გამოასწორებენ ამ ნაკლს და მაშინ ჩვენი საქმეც კარგად იქნება.

მე არ ვიცი ტექნოლოგიური თვალსაზრისით რამდენად სწორია იოსების შეხედულებანი ჩვენი ახლად ამუშავებული კოქსქიმიური ქარხნის პროდუქციაზე, ან მის მიერ დასახელებული მიზეზები ნამდვილია თუ არა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ იგი სერიოზულად ფიქრობს თავისი საქმის გაუმჯობესებაზე და ასევე სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ამ საქმეს კოქსქიმიური ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგები.

* * *

გამომდნარი თუჯი ბრძმედიდან მართნის საამქროში მიდის. იქ საგანგებო ღუმელში მზადდება ფოლადი. რამდენიმე წლის წინათ მარტენის ღუმელში ფოლადის მოდუღებას თორმეტ საათზე მეტს ანდომებდნენ. მაგრამ აი გაჩნდნენ ჩვენში ისეთი ოსტატები, რომლებმაც თანდათან დაიწყეს ფოლადის მოდუღების დროის შემცირება, ჯერ თერმეტი საათი მოანდომეს. შემდეგ — ათი. ბოლოს ამ საქმის ნამდვილი ნოვატორები გამოჩნდნენ და ეგრეთწოდებულ ჩქაროსნულ დნობაზე გადავიდნენ. დაიწყო განუწყვეტელი რეკორდები.

რამდენი მეფოლადის სახელია ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში: სიგოა, კუხალეიშვილი, სამცოვი, კვახაძე, ბულგაკოვი, მეტრეველი და მრავალი სხვა.

ყოველი მათგანი თავისი წინამორბედის რეკორდებს ერთხელ მაინც გადააჭარბებდა ან გაუტოლდებოდა, ბევრი მათგანი ოსტატად დაწინაურდა, მაგრამ აგერ მომდევნო გაუსწრებდა მას, და ასე დაუსრულებლივ. ახლაც ზაქარია ყველაშვილმა გაუსწრო ყველას და მარტის გეგმა 128 პროცენტით შეასრულა. ჩვენ არ ვიცით, რომელი ოჯოებებს მას აპრილში, სამცოვი, მეტრეველი თუ რომელიმე სხვა, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ყოველი მათგანი ნამდვილი შემოქმედებითი შრომით არის გართული და იბრძვის, რათა მოწინავეთა რიგებში იდგეს.

* * *

ბლუმინგის საამქროს სიგრძე კილომეტრს აღწევს. აქ ხდება ფოლადსხმული კუნძების, ეგრეთწოდებული ბლუმების პირველი გაწელვა ანუ გაგლინვა.

...გახურებული ჭებიდან ახალი ბლუმსი ამოიღიათ და როლგანგზე ნასუქი კურატივით წამოწოლილი თავის რიგს ელოდება. უფროსი ოპერატორი ილია მეტრეველი მშვიდად და ზუსტად გაანგრძობს თავის საქმეს... აი გასწია მან სახელური, გაწელილი გრძელი ფოლადის ძელი როლგანგზე წინ გაუშვა (იქ მას უკვე სხვა ოპერატორები დაამუშავებენ, დაჭრიან და საწყობში გაგზავნიან), შემდეგ მეორე ბლუმსი მიაყენა გამწელავ მანქანას.

ზუსტად და შეუჩერებლად მუშაობს ოპერატორი. თვალს არ აშორებს გასაწელავ ბლუმსს და ორივე ხელით ისე ოსტატურად მართავს სახელურებს, თითქოს ამ გავარვარებულ რკინას საკუთარ ხელისგულებზე ათამაშებდეს.

მეტრეველი თელავიდან არის. იგი მაშინ ჩავიდა სტალინგრადის ქარხანაში, როცა ეს ქარხანა ნანგრევებად იყო ქცეული და პირველ რიგში ამ ქარხნის აღდგენაზე ზრუნვა იყო საჭირო. ექვსი წელი დაჰყო ილია მეტრეველმა სტალინგრადში. აქ ხარაჩოებზეც მუშაობდა და, რაც მთავარია, პროფესიასაც ეუფლებოდა.

ახლა იგი რუსთავის მკვიდრია და სხვებთან ერთად იბრძვის ქარხნის წარმატებისათვის.

* * *

ბევრნი არიან ასეთი მოწინავე მუშები რუსთავის ქარხანაში. მილსაგლინავ საამქროში უფროსმა ოპერატორმა კლიმენტი კოკაიამ მარტის გეგმა 135 პროცენტით შეასრულა. წვრილსორტულ საამქროში უფროსმა მვალცავმა სოსო თადუმაძემ გეგმას საგრძნობლად გადააჭარბა. მილსაგლინავში იოსებ ჯანგულაშვილი 132 პროცენტით ასრულებს გეგმას. მაგრამ... ქარხანა ჯერ კიდევ მაინც ვერ ჩადგა საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოთა რიგებში. იგი მაინც ვერ გაუტოლდა მეტალურგიული მრეწველობის მოწინავე გიგანტებს.

რა არის ამის მიზეზი? პასუხი ერთია. ყოველი მუშა და ტექნიკური ხელმძღვანელი ჯერ კიდევ ვერ იბრძვის თავის უბანზე ისეთი თავგამოდებით, როგორც ბევრი მისი მოწინავე ამხანაგი. ეს მოწინავე მუშას შორის საკმარისია ერთი ჩამორჩეს, ამხანაგს მხარში არ ამოუდგეს, რომ ეს მაშინვე დაეტყოს საერთო საქმეს.

ჩვენში ყოველი მუშა, რომელიც დიზგასთან დგას, მექანიკურად კი არ ასრულებს თავის სამუშაოს, არამედ მუდამ აზროვნებს და ცდილობს თავის უბანზე ისე გაუმჯობესოს შრომის პროცესი, შექმნას ისეთი რაციონალური ხერხები, რომლებითაც საგრძნობლად გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას, გაიადვილებს შრომას და ამგვარად თავის შემოსავალსაც გაზრდის.

აი ასეთი შემოქმედებითი შრომის ენთუზიაზმით უნდა გაიმსჭვალოს ამ გიგანტური ქარხნის ყოველი მუშა, ყოველი ტექნიკური ხელმძღვანელი, და მაშინ ჩვენი ქარხანა მართლაც საამაყო გახდება მთელ საბჭოთა კავშირში.

ა. ბელიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს ხალხთა შორის მეგობრობას!

* * *

კაცობრიობის გაზაფხული

შარშან დეკემბერში უცხოელ სტუ-
ართა შორის, რომელნიც საბჭო-
ა მწერლების ყრილობაზე მსოფ-
ლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩა-
ოსულიყვნენ, ყურადღებას იქცევდა
ოუატანის, ჯერ ისევ ახალგაზრდა კა-
ი, ცხელი სამხრეთის მკვიდრთათვის
ამახასიათებელი მზედაკრული სა-
ით. ეს იყო ალფრედო დანტე გრა-
ინა. მახსოვს, ის იდგა სვეტებიანი
არბაზის ფოიეში, ინდოელ მწერალ
ლი სარდარ ჯაფრისთან და ბრაზი-
ელ ჟორჟი ამადუსთან ერთად.
ნი ათვალიერებდნენ ფოიეში მოწ-
ობილ გამოფენას. სწორედ იმ ხანებ-
ი, როცა გრავინა შორეული ურუგ-
ვაიდან ჩამოვიდა, მოსკოვში გამოიცა
ისი ბრწყინვალე რომანი — „საზღვ-
ები ღიაა ქარისათვის“. ამ წიგნს იქ-
ი, კავშირთა სახლის ფოიეში ჰყიდ-
ნენ და შორიდანვე, პირველი დახედ-
ისთანავე იქცევდა იგი ყურადღებას.
ედაზე პრერიების მცხუნვარე მზის
ბივებით მოფენილი მინდვრების ყვი-
ელ ფონზე გამოხატული იყო მავ-
ულხლართებში მომწყვდეული მთა-
ორიანი ქვეყანა.

ეს იყო სურათი გრავინას სამშობ-
ლოსი, შორეული ურუგვაისა, რომ-
ლის დაბეჩავებულ, მაგრამ კეთილ-
მობილ და სულიერად სპეტაკ პეო-
ებსა და გაუჩოებს ცხრაპირ ტყავს
ძრობენ შინაური მემამულეები და
ოლსტრიტელი მძარცველები; დაბი
ურუგვაის მინდვრებზე ქარიშხალი
უკვე ბორგავს, რათა ეს მტაცებელნი
ოლგავოს, უფსკრულისაკენ გადაისრ-
ოს; ამ ქარიშხლის ძლიერი სუნთქვა
ოგრძნობა გრავინას წიგნის ფურც-
ლებზე; თქვენ ხედავთ, რომ ამ ქარი-
შხლს აქვს ძალა, რომელიც დაგ-
ეჯახს ამ მავთულხლართებს.

ეს მარტო ურუგვაის სურათი რო-
დია! ყველგან, სადაც კი ოლსტრი-
ტელმა ბიზნესმენებმა თავიანთი მავ-
თულხლართები გააბეს, იქ ადამიანები
ველარ იცინიან, იქ გაზაფხული ველარ
გაზაფხულობს, იქ ყველა ყვავილი
ჩექმის დალურსმული ქუსლით არის
გადათელილი.

ამ უმზეო სამყაროში მომწყვდეული
ადამიანები სინათლესა და ბედნიერე-
ბაზე ოცნებობენ, ნატრობენ იმ მზიან
გაზაფხულს, რომელიც იფურჩქნება
მათგან შორს, უზარმაზარ ქვეყანაში
—საბჭოთა კავშირში — წყნარი ოკეა-
ნიდან კარპატების მთებამდე რომ გა-
დაჭიმულა. ეს არის ძლევამოსილი
სამშობლო თავისუფალი ადამიანები-
სა, კაცთა მოდგმის ისტორიაში პირ-
ველი ქვეყანა, სადაც ლენინმა და
სტალინმა ხალხებს მშვიდობისა და
თავისუფლების სამყარო დაუმკვიდ-
რეს. ამიტომ ენატრებათ აქ ჩამოსვლა
ადამიანებს მსოფლიოს ყველა კუთხი-
დან. ვინ იცის, რამდენი თვალი მოა-
ცილებდა ალფრედო დანტე გრავინას,
როცა ის მოსკოვში მოემგზავრებოდა.
მას თან ატანდნენ თავიანთი გულის
უწმიდეს სურვილებს, თავიანთ სა-
ლამს მზიური გაზაფხულის ქვეყნი-
სადმი. მათი წარმოგზავნილი იყო,
მათი სახელით გამოვიდა გრავინა კავ-
შირთა სახლის სვეტებიანი დარბაზის
ტრიბუნაზე.

განა მარტო გრავინას სიტყვებში
ისმოდა ის უზარმაზარი, გულში დაუ-
ტეველი სიხარული, რომელსაც მსოფ-
ლიოს ყველა ქვეყნის ადამიანის გულ-
ში იწვევს მოსკოვის ხილვა. იმავე
ტრიბუნიდან ამაზე ლაპარაკობდა ეს-
პანელი ხუან მეხანო. იხსენებდა რა
რესპუბლიკური ესპანეთის ტყვიებით
დაცხრილულ დროშას, ის ღრმა გუ-
ლისტკივილით ლაპარაკობდა იმაზე,
რომ მისი სამშობლო ახლა სისხლისა-
გან იცლება, რომ ესპანეთი ვიღაც გა-
რეწრებმა და სულით დაცარიელე-
ბულმა არამზადებმა მიჰყიდეს ამერი-
კელ იმპერიალისტებს, აქციეს აგრე-
სიისა და სიკვდილის ატომურ ბაზად;
მაგრამ მსოფლიოს მოწინავე მწერალ-
თა სიტყვებში საბჭოწარკვეთილება
როდი ისმოდა. ისინი ფიცს დებდნენ,
რომ იბრძოლებდნენ თავიანთი ხალხი-
სათვის ისე მამაცად, თავდადებით,
როგორც მშვიდობის დიადი არმიის
ჯარისკაცებს შეჰფერით.

ამაზევე ლაპარაკობდა ფრანგი ლუი
არაგონი, რომელმაც გაიხსენა პა-
ლონერის სიტყვები: „ადამიანებს ყვე-
ლაზე მეტად სინათლე უყვართ, ამი-
ტომაც იყო, რომ კაცობრიობამ თავი-
სი ისტორია ცეცხლის აღმოჩენით და-
იწყო“. და ფრანგმა პოეტმა-კომუ-
ნისტმა პაოლონერის ამ სიტყვებს თა-
ვის მხრივ ის დაუმატა, რომ ამ სი-
ნათლის ჩაქრობას ცდილობს მსოფ-
ლიო რეაქცია, მაგრამ არის ქვეყანა,
სადაც ეს სინათლე ღვივის, ძლიერდე-
ბა, ნაპერწკლებს აფრქვევს. ეს ქვეყა-
ნა საბჭოთა კავშირია; ეს მაცოცხ-
ლებელი, ამაღორძინებელი სინათლე
აღმოსავლეთიდან ეფინება ცრემლითა
და სისხლით მორწყულ პლანეტას.

ასევე შენატროდნენ, შეხაროდნენ
იმ ტრიბუნიდან საბჭოთა ქვეყნის გა-
ზაფხულს ჩილის უბრწყინვალესი
პოეტი პაბლო ნერუდა და დიდი მომ-
ღერალი პოლ რობსონი, რომელიც
ვერ ავიდა ამ ტრიბუნაზე, მაგრამ
რომლის ხმა მაინც გაისმა ამ ტრიბუ-
ნიდან, ამასვე ამბობდნენ ყველანი —
წარმოგზავნილნი არაბული აღმოსავ-
ლეთიდან და ლათინური ამერიკიდან,
ევროპიდან და აზიიდან, დედამიწის
ყველა კუთხიდან.

ინდოელმა მწერალმა ალი სარდარ
ჯაფრიმ სვეტებიანი დარბაზის ტრი-
ბუნაზე გაიხსენა თავისი სამშობლოს
გამოჩენილი პოეტის ფირაკის სიტყ-
ვები: „მთელი მსოფლიოს ადამიანებს
თვალი მიეპყრიათ შორს, იქით, იმ
მხარისაკენ, საითაც მოსკოვია, მიეპყ-
რიათ იმიტომ, რომ თვით წყვდიადი-
დან ხედავენ, როგორ ბრწყინავს მოს-
კოვის თავზე ახალი განთიადი, ახალი
გაზაფხული კაცობრიობისა“.

მთელ ამ გამოსვლებში ისმოდა მო-
წინავე კაცობრიობის, მსოფლიოს ასე-
ული მილიონობით ადამიანების ხმა;
ეს იყო ხმა მშრომელი კაცობრიობისა,
რომელსაც საუკუნეთა მანძილზე გა-
მოვლილი ტანჯვის შემდეგ სურს
ის სიხარული და მშვიდობა, პირვე-
ლად კრემლმა რომ დაუმკვიდრა ადა-
მიანებს. ეს იყო იმათი ხმა, ვინც იმე-
დით შემოსცქერის საბჭოეთს, ვინც
ოცნებობს შეხედოს ლალის ვარსკვლა-
ვებს კრემლის კოშკებზე, ნაძვებს წი-
თელ მოედანზე, მოუსმინოს კრემლის
საათის ზარის რეკვას, რომელიც წუ-
თობითა და საათობით აღნიშნავს ახა-
ლ კაცობრიობის წინსვლას კომუნიზ-
მისაკენ.

გ. ნატროშვილი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში შექმნილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სამრეწველო საწარმოები, რეკონსტრუირებულია ძველი ფაბრიკები და ქარხნები. **სურათზე:** დიენდიეშის სარკინიგზო მოწყობილობის ქარხნის ამწყობი საამქრო.

ფოტო „მადიარ ფოტოსი“.

ჩინეთი

ჩინელმა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გეგმის განხორციელებაში.

სწრაფი ტემპით ვითარდება მეტალურგიული მრეწველობა. მაგალითად, 1954 წელს 1953 წელთან შედარებით თუჯის წარმოება გადიდდა 37,3 პროცენტით.

1954 წელს ჩინეთში მიმდინარეობდა მეტალურგიული მრეწველობის 100-ზე მეტი ობიექტის მშენებლობა. 40 მათგანი უკვე მწყობრში ჩადგა.

დიდი წარმატებები აქვთ ჩინელ მშრომელებს აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. მიმდინარე წლის თებერვლის პირველი დეკადის მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების რაოდენობამ 600 ათასს მიაღწია. კოოპერატივებში გაერთიანებულია 15 მილიონი გლეხური მეურნეობა, ანუ ყველა გლეხური მეურნეობის 13 პროცენტზე მეტი.

დღითიდღე იზრდება ჩინეთის მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებანი. 1954 წელს ჩინეთის კინემატოგრაფიულმა მრეწველობამ 155 ახალი კინოფილმი გამოუშვა და ჩინურ ენაზე გაახმოვანა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების 65 კინოფილმი.

1954 წელს ჩინეთში გამოიცა 20 ათასი სახელწოდების წიგნი 900 მილიონი ეგზემპლარი ტირაჟით. ეს 20 პროცენტით მეტია 1953 წელთან შედარებით.

პოლონეთი

თავისუფალი შრომა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა უდევს საფუძვლად პოლონეთის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფ აღმავლობას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მძიმე მრეწველობის განვითარებას. თუჯის წარმოება წელს შარშანდელთან შედარებით 16,2 პროცენტით დიდდება, ლითონდამუშავებელი ჩარხებისა — 28,8 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — 30,3 პროცენტით.

მძიმე მრეწველობის განვითარების ბიზაზე მნიშვნელოვნად ფართოვდება მსუბუქი მრეწველობა. მომდინარე წელს მსუბუქი მრეწველობა 11 პროცენტით გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას.

შრომისმოყვარე პოლონელი ხალხი აქტიურ მონაწილეობას იღებს მშვიდობის დასაცავად გაჩაღებულ ბრძოლაში, ამავე დროს დიდ ყურადღებას აქცევს ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებას.

ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშრომელები დიდი პოლიტიკური აღმავლობით ხვდებიან მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს — 1 მაისს. ეყრდნობა რა საბჭოთა კავშირის მეგობრობას და უანგარო ძმურ დახმარებას, ჩეხოსლოვაკიის ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ქმნიან ახალ კულტურას, ფორმით ეროვნულსა და შინაარსით სოციალისტურს. სწრაფად იზრდება სასწავლებლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი. ბურჟუაზიულ ჩეხოსლოვაკიაში სულ 9 უმაღლესი სასწავლებელი იყო. 1954 წელს რესპუბლიკაში ითვლებოდა 40 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 47 ათასი კაცი სწავლობს. შექმნილია აგრეთვე კინოთეატრების, თეატრების, კლუბების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელი.

ბრაღაში შენდება 4 ახალი შენობა თერმიტწლიანი საშუალო სკოლებისათვის. ახლო ხანში დაიწყება კიდევ 9 შენობის მშენებლობა არასრული საშუალო სკოლებისათვის.

უნგრეთი

მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან უნგრეთი გადაიქცა განვითარებული სოციალისტური მრეწველობის ქვეყნად.

წარმატებით ვითარდება სოციალისტური სახალხო მეურნეობის საფუძველი — მძიმე ინდუსტრია. ქვანახშირის, ნავთობის მოპოვება და ელექტროენერგიის წარმოება ხუთი წლის განმავლობაში ერთიორად გაიზარდა. ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა მანქანების, ფოლადის, ალუმინის და სხვა მნიშვნელოვანი სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში უნგრეთში შექმნილია 65 ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმო. მრეწველობის საერთო პროდუქციამ ოცამდელი 1938 წლის დონეს სამჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა.

რუმინეთი

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდება როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1953 წელს 1938 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გადიდდა.

მრეწველობის სწრაფი აღმავლობა ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დაჩქარებას. ამჟამად არსებულ დაახლოებით 5.000 კოლექტიურ სასოფლო მეურნეობასა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას, რომლებიც 1,1 მილიონ ჰექტარ ფართობს ამუშავებენ, მომსახურებას უწევს 25 ათასზე მეტი ტრაქტორი, 5.000 მექანიზებული სათესი მანქანა, 6.000 კულტივატორი, 1.000 კომბაინი და სხვ.

ბულგარეთი

სახალხო-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ბულგარეთის მშრომელებს ფართოდ გაუხსნა გზა ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

დღითიდღე ვითარდება ბულგარეთის მძიმე მრეწველობა. 1953 წლის დამლევს სამრეწველო წარმოების მოცულობამ თითქმის ხუთჯერ გადააჭარბა 1939 წლის დონეს. მსხვილი სოციალისტური მრეწველობის საფუძველზე მოხდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მექანიზებულია. ელექტროფიცირებულია 2.000-ზე მეტი სოფელი. გლეხებმა აიშენეს 41.000-ზე მეტი საკუთარი სახლი.

დიდი გაჭანება მიიღო კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სიბინაო შენებლობამ. მაგალითად, ქ. სოფიაში წარმატებით მიმდინარეობს ქალაქის რეკონსტრუქცია. დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის გასულ წელს 26 მილიონი ლევი დაიხარჯა. სოფიის მშრომელებმა მიიღეს ახალი, კეთილმოწყობილი ბინები, რომელთა საერთო ფართობი 56 ათასზე მეტ კვადრატულ მეტრს უდრის.

ალბანეთი

ალბანეთის განთავისუფლებამდე გლეხები მიწას პრიმიტული იარაღებით ამუშავებდნენ. ალბანეთის გლეხებისათვის უცხო იყო სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ალბანეთის განთავისუფლების შემდეგ სწრაფად დაიწყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები დიდ მზრუნველობას იჩენენ გლეხთა კულტურული განვითარებისათვის. **სურათზე:** ჯიძიანის პროვინციის სოფელ დინჯას კოოპერატივის წევრთა ჯგუფი ისმენს რადიოგადაცემას.

ფოტო სინხუას საგენტოსი.



ამას წინათ დამთავრდა რკინიგზის ხიდის მშენებლობა დუნაიზე. მდინარის ერთ ნაპირზე დგას უნგრეთის ქალაქი კომაროომი, მეორეზე — ჩეხოსლოვაკიის ქალაქი კომარნო. მშენებლებმა ამ ხიდს უწოდეს „მეგობრობის ხიდი“. **სურათზე:** პირველი მატარებელი ახალ ხიდზე.

ფოტო „მადიარ ფოტოსი“.

ამჟამად რესპუბლიკის მინდვრებში მუშაობენ ტრაქტორები, კულტივატორები, კომბაინები, სათესი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც მიღებულია საბჭოთა კავშირიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან. მტს-ების სიმძლავრე შარშან 1947 წელთან შედარებით 8,5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

კორეა

მამაცი კორეელი ხალხი სწრაფად აშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს. გაჩაღებულია ინტერვენტების მიერ დანგრეული სოფლებისა და ქალაქების აღდგენითი მშენებლობა, ვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

მომდინარე წელს დაიწყება სოფლის მეურნეობის მთლიანი მექანიზაცია. ამ მიზნით შეიქმნება 20 ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით 12,1 პროცენტით გადიდდება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენით სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კორეელი ქალები. ასე მაგალითად, მსუბუქ მრეწველობაში მუშათა 46,6 პროცენტს, ხოლო მძიმე მრეწველობაში 23,2 პროცენტს ქალები შეადგენენ.

მონღოლეთი

რევოლუციამდელ მონღოლეთში მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები აუტანელი იყო. მონღოლეთში მძვინვარებდა ეპიდემიები და სოციალური დაავადებანი. ყოველწლიურად კატასტროფულად მცირდებოდა მოსახლეობის რაოდენობა. მთელს მონღოლეთში არ იყო არც ერთი ექიმი, სამკურნალო საქმე მკითხავებისა და ჭიმბაშების ხელში იყო.

სახალხო ხელისუფლების წლებში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. მონღოლეთში სამედიცინო დაწესებულებათა ფართო ქსელი შეიქმნა. ყოველ 200 კაცზე ამჟამად ერთი უმაღლესი ან საშუალო ცოდნის მქონე სამედიცინო მუშაკი მოდის. ლიკვიდირებულია ეპიდემიები. ყოველივე ამის შედეგად მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად იზრდება.

ხალხთა უძლეველი ნება

ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი პროგრესული კაცობრიობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების ღრმა რწმენით ხვდება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს — პირველ მაისს.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა, ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე და ძლიერი, როგორც ახლა, როცა ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები გამალებით ემზადებიან ახალი მსოფლიო ომისათვის და ატომისა და წყალბადის ბომბებით იმუქრებიან.

ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც სულ უფრო ამრავლებენ თავიანთ სამხედრო ბაზებს დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების გარშემო, ქმნიან ატომური იარაღის მარაგს, სისტემატურად ახდენენ მის გამოცდას და აფეთქებაზე დაკვირვების აღწერით ცდილობენ დააშინონ სუსტი ნებისყოფის ადამიანები. იმპერიალისტთა ლაქია ჟურნალ-გზეთები კი, ნაცვლად იმისა, რომ ქმედითი ბრძოლა გააჩაღონ ატომური იარაღის აკრძალვისათვის, აქვეყნებენ ცნობებს აფეთქებათა შესახებ და რჩევას აძლევენ ამერიკელ მოქალაქეებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ თავის გადასარჩენად.

ამას წინათ ნევადის შტატში სათანადოდ მომზადებულ პოლიგონზე ატომური ბომბის აფეთქების მეორე დღეს „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ორი საგანგებო ცნობა. ერთი ცნობით, სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს ხელმძღვანელი, ფორესტოლური დაავადებით შეპყრობილი პეტერსონი ამერიკელ მოქალაქეებს ურჩევს ააგონ მიწისქვეშა თავშესაფრები და იქ იქონიონ წყლისა და სურსათის 5-6 დღის მარაგი. [illegible] მიწაში და ვილოცოთ! — პათეტიკურად აცხადებს პეტერსონი.

მეორე ცნობის ავტორი რჩევას აძლევს ნიუ-იორკის მცხოვრებთ — დატოვონ ნიუ-იორკი.

ასეთ „კონსულტაციებს“ ამერიკელი მოქალაქეები პირველად როდი ისმენენ. ჯერ კიდევ 1950 წელს ჟურნალ „საიენტიფიკ ამერიკენში“ დოქტორი ე. ლეპი იძლეოდა რჩევას ქალაქების „ერთხაზობრივად გაშენების“ შესახებ. ასეთი „ხაზობრივი“ ტიპის ქალაქი, ლეპის აზრით, უფრო დაცული იქნება, თანაც ამ ტიპის ქალაქებში სკოლები, თეატრები და ქარხნები განლაგებულ უნდა იქნან მიწის ქვეშ. პეტერსონის წინამორბედია პროფესორი ტელერი, რომელიც პირველი ურჩევდა ამერიკელებს ცხოვრების მიწის ქვეშ მოწყობას.

კაცობრიობის დაშინების ეს პოლიტიკა შემთხვევითი როდია. მას შეგნებულად იყენებენ იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეები. ისინი აცხადებენ, რომ მომავალი ომის შედეგი იქნება „მსოფლიო ცივილიზაციის დაღუპვა“. ასეთი აზრისაა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი. ამას წინათ ასეთივე მოსაზრება გამოთქვა ინგლისის მემარჯვენე ლეიბორისტთა ლიდერმა ეტლიმაც, რომელმაც განაცხადა: თერმოგულური რმი თვითმკვლელობა იქნება ცივილიზაციისათვისო.

ცხადია, დახავსებული კაპიტალისტური სისტემის აპოლოგეტებს მსოფლიო ცივილიზაციის ბედი სრულებით არ აინტერესებთ. მთა რომ მართლაც აინტერესებდეთ მსოფლიო ცივილიზაციის ბედი, მაშინ უარს იტყოდნენ ყბადაღებულ „ძალის პოზიციაზე“ და მხარს დაუჭერდნენ მიმართვას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, მხარს დაუჭერდნენ წინადადებას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, შეწყვეტდნენ სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობას, მოიწონებდნენ ყველა ქვეყნის მონაწილეობით სახელმწიფოთა კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის წინადადებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომდინარე წლის 9 თებერვლის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „საჭიროა ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას. საჭიროა დაუყოვნებლივ გადაწყდეს შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და, უწინარეს ყოვლისა, დიდი სახელმწიფოების შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების საკითხი. ატომური და მაღრბრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღი უნდა აიკრძალოს. შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფილ უნდა იქნას ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით... საჭიროა, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა ემყარებოდეს თანასწორობის პრინციპებს, საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, თავდაუსხმელობას და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზე უარისთქმას, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემას“.

საბჭოთა სახელმწიფოს ამ დეკლარაციას ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები კმაყოფილებით როდი შეხვდნენ. ამერიკელ იმპერიალისტებს მშვიდობა არა სურთ. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ გამალებული შეიარაღების მაღალი ტემპი, „მშვიდობისა და მსოფლიო ცივილიზაციის დაცვის“ საბაბით ამზადონ მასობრივი მოსპობის იარაღი, ატომური და წყალბადის ბომბებით სცადონ პროგრესული კაცობრიობის დაშინება.

მაგრამ არა, ატომური ომი, თუ ამერიკელი იმპერიალისტები გააჩაღებენ მას, მსოფლიო ცივილიზაციის განადგურებას კი არა, არამედ დახავსებული კაპიტალისტური სისტემის მოსპობას გამოიწვევს.

დრომოჭმული კაპიტალიზმის აპოლოგეტებს ჰგონიათ, რომ მათი აღსასრულის მოახლოება მსოფლიო ცივილიზაციის აღსასრულის მოახლოებას მოასწავებს. ასე ხდებოდა წინათაც. დიდი რევოლუციური აღმავლობის პერიოდი ყოველთვის იწვევდა მომაკვდავი კლასების იდეოლოგების სასოწარკვეთილებას. დასაღუპავად განწირული კლასების იდეოლოგები მათი აღსასრულის მოახლოებაში ყოველთვის ცდილობდნენ დაეხახათ მსოფლიო ცივილიზაციის აღსასრულის მოახლოება. მაგრამ ისტორია მაინც თავისი გზით მიდიოდა, და ახლაც არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს კაცობრიობის ძლევამოსილი წინსვლა, დაღუპვისაგან იხსნას მომაკვდავი კაპიტალიზმი და გზა გადაუღობოს ახალ, პროგრესულ საზოგადოებრივ წყობილებას.

როცა „მსოფლიო ცივილიზაციის დაღუპვის“ საშიშროებაზე ლაპარაკობენ, ახალი ომის გამჩაღებლებს სურთ დეზორგანიზაცია შეიტანონ პროგრესულად განწყობილ მასებში, ჩაუხშონ მათ დიადი მომავლისაკენ სწრაფვა, გამოიწვიონ საერთო მოღუნება და დემორალიზაცია. ყოველივე ეს მიზნად ისახავს კლასობრივი ბრძოლის მიძინებას, მუშათა კლასის განიარაღებას, გაუზრდელია ექსპლოატატორთა ბატონობის გახანგრძლივებისათვის.

მეორე მხრივ მსოფლიო ბატონობის აპოლოგეტებს „ცივილიზაციის დაღუპვის“ საფრთხით სურთ დაშინონ დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნები, აიძულონ ისინი უარი თქვან თავიანთ დამოუკიდებლობაზე და დაემორჩილონ აგრესორთა ნება-სურვილს. ამით აიხსნება ის გარემება, რომ ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები თაყვანს სცემენ ყბადაღებულ „ძალის პოზიციას“ და მთავარ იარაღად იყენებენ ატომურ შანტაჟს, მიმართავენ ატომური იარაღით მასების დაშინების პოლიტიკას.

მაგრამ ეს პოლიტიკა განწირულია. ახლა, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელიდან გამოეცალათ ყველა უპირატესობა, როდესაც მათ აღარ გააჩნიათ ატომის იარაღის მონოპოლია და „საქმე იქამდე მივიდა, რომ წყალბადის ბომბის წარმოებაში, — როგორც ეს ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, — საბჭოთა ადამიანებმა მიაღწიეს ისეთ წარმატებებს, რომ ჩამორჩენილთა მდგომარეობაში აღმოჩნდა არა საბჭოთა კავშირი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატები“, როდესაც შექმნილია დემოკრატიისა და სოციალიზმის 900-მილიონნახევარი ძლეველი ბანაკი და მშვიდობას მხარს უჭერს მილიონობით კეთილი ნების ადამიანი თვით კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, ცხადია, ომის გამჩაღებლები ატომური შანტაჟით ვერ შეძლებენ პროგრესული კაცობრიობის დაშინებას.

დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით მტკიცედ იცავს მშვიდობას და ხმას იმაღლებს ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ. ეს კეთილშობილური ბრძოლა — საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ენერგიული ბრძოლა მშვიდობის დასაცავად, მათს სისუსტეს როდი ნიშნავს. დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებს ყოველგვარი შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ, თუ საჭიროა მოითხოვს, ალაგმონ და გაანადგურონ ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები. მათ მშვიდობა სურთ და ძალებს არ ზოგავენ მშვიდობის დასაცავად იმიტომ, რომ ომი დიდი უბედურებაა ყველა ქვეყნის ხალხებისათვის.

მშვიდობისათვის ენერგიულად იბრძვის კაპიტალისტური სამყაროს მილიონობით მშრომელი, მთელი პროგრესული კაცობრიობა. ხალხის ნებას წინ ვერავინ გადაეღობება. როცა ატომური იარაღის გამოყენების პირველი საშიშროება წარმოიშვა, სტოკჰოლმის სესიის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ხელი მოაწერა ასეულ მილიონობით ადამიანმა. ამის შედეგად ამერიკელმა იმპერიალისტებმა ვერ გაბედეს ატომური ბომბის გამოყენება კორეაში.

ახლაც, ატომური ომის საფრთხის გაძლიერების ახალ ვითარებაში, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის მიმართვამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმართვას ხელი მოაწერა 400,5 მილიონზე მეტმა კაცმა, ჩეხოსლოვაკიაში 9,5 მილიონმა, რუმინეთში დაახლოებით 11 მილიონმა, უნგრეთში 6 მილიონზე მეტმა. მიმართვას წარმატებით აწერენ ხელს კაპიტალისტური სამყაროს მშრომელებიც. მშვიდობისათვის მებრძოლებს ბრაზილიაში განზრახული აქვთ შეაგროვონ 10 მილიონი ხელმოწერა. ამ კამპანიაში აქტიურად მონაწილეობს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, რომელიც 97 ქვეყნის 85 მილიონზე მეტ ახალგაზრდას აერთიანებს. მშვიდობის დასაცავად აქტიურად იბრძვიან ყველა ქვეყნის მოწინავე ქალები. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მთელი მსოფლიოს მშრომელებს მიმართა მოწოდებით—ახალი ენერგიით გააჩაღონ ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის. „ყველა ქვეყნის მშრომელთა ნებისა და მოქმედების ერთიანობა, — ნათქვამია მიმართვაში, — ჩვენი ურღვევი სოლიდარობა ატომურ და წყალბადის ბომბებზე უფრო ძლიერია, ომის გამჩაღებელთა ყველა ხრიკზე უფრო ძლიერია“.

ხალხებს მშვიდობა სურთ. მათ კარგად ესმით, რომ მშვიდობის დაცვა მხოლოდ ბრძოლით შეიძლება. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს ყველა ქვეყნის მშრომელები კიდევ უფრო მეტად აღიდგენენ და გააძლიერებენ ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის. მათ ხელს ვერ შეუშლის ვერც ედგარ ფორის მთავრობის გადაწყვეტილება პარიზში საპირველმაისო დემონსტრაციის აკრძალვის შესახებ, ვერც ამერიკელი მაგნატებისა და ომის იმპერიალისტი გამჩაღებლების მუქარა.

ხალხთა ნება ურღვევია. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე.

ა. ჩავლეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში

ამერიკის შეერთებული შტატები

სახელმწიფო წყობილების მზარდი ფაშიზაცია, ცხოვრების აუტანელი პირობები, უუფლებობა მძლავრ საპროტესტო მოძრაობას აღვიძებს ამერიკელ მშრომელთა ფართო ფენებში.

გრძელდება კომპანია „საზერნ ბელ ტელეფონულ კომპანის“ მუშათა გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობს სამხრეთის ცხრა შტატის სატელეფონო ქსელის 50 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე, რომელთა წინააღმდეგ ხელისუფლების ორგანოები უმაგალითო რეპრესიებს მიმართავენ.

საერთოდ შეერთებული შტატების მმართველი წრეები როდი უგულებელყოფენ პოლიციურ მეთოდებსა და სისხლიან ტერორს პროფკავშირული მოძრაობის ჩასახშობად.

ამას წინათ დეტროიტში გაიფიცნენ ელექტრიკოსებისა და რადიომექანიკოსების პროფკავშირთა მუშები. ეს გაფიცვა 108 დღეს გრძელდებოდა. პოლიციამ და მთავრობის მიერ დაქირავებულმა ბანდებმა, რომლებიც ცდილობდნენ გაეტეხათ გაფიცულ მუშათა სიმტკიცე, ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზებით ასობით მუშა დაასახიჩრეს, დაჰატიმრეს პროფკავშირის მრავალი წევრი. ამერიკული ჟურნალი „ნეიშნი“ შენიშნავდა, რომ „1942 წლის შემდეგ დეტროიტს არ ახსოვს ასეთი რეპრესიები მუშების წინააღმდეგ, გაფიცვის ჩახშობის ასეთი პოლიციური მეთოდები“. ასევე სასტიკად გაუსწორდნენ ქვანახშირის კომპანია „ელვ რივერ კოალ ლამბერ კომპანის“ მეშახტეებს ქ. უაიდენში (დასავლეთ ვირგინიის შტატი).

გაფიცულთა წინააღმდეგ გამოყენებული პოლიციური ტერორი უბადლებული „თავისუფალი სამყაროს“ ამ ციტადელში აშკარა მკვლელობის ფორმას იღებს. მაგალითად, კლეის საგრაფოში (ცენტუკის შტატი) მოკლულ იქნა პროფკავშირული მოღვაწე ჩარლი ვერმილონი; ბენტონის საგრაფოში (მისისიპის შტატი) ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს და დანით მუცელში დაჭრეს მკერავთა პროფკავშირების წარმომადგენელი ჯეიმს ჯეკსონი; ქ. კლივლენდში მოკლულ იქნა საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე რეიმონდ უეიროხი. მსგავსი მკვლელობანი უკვე ყოველდღიურ პრაქტიკად იქცა ამერიკული პოლიციის საქმიანობაში.

მაგრამ ასეთი მხეცური რეპრესიების მიუხედავად, ამერიკელი მშრომელები სულ უფრო აძლიერებენ ბრძოლას ულმობელი კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ქვეყნის ფაშიზაციის წინააღმდეგ, ახალი ომის გაჩაღების წინააღმდეგ.

ბოლო ხანებში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ალაბამას შტატის რკინიგზის მუშათა გაფიცვამ, რომელშიც 40 ათასამდე მუშა იღებს მონაწილეობას. სულ მალე გაფიცვამ მეზობელ შტატებშიც იფეთქა. მუშათა ეს მოძრაობა პირველი მაისისათვის უფრო გაძლიერდა.

იტალია

მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციებით უპასუხებს იტალიის პროლეტარიატი მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას, რომელმაც იინკედის საპარლამენტო ასპარეზად გადააქცია ევროპის ეს ულამაზესი ქვეყანა.

იბრძვის რა იტალიელი ხალხის ეროვნული უფლებებისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ამერიკული ექსპანსიისა და ომის წინააღმდეგ, იტალიის მუშათა კლასი ფართოდ აჩაღებს საგაფიცვო მოძრაობას.

გაზეთ „უნიტას“ ცნობით, 6 აპრილს გაფიცვა გამოაცხადა უდიდესი ქიმიური კონცერნის „მონტეკატინის“ 45 ათასმა მუშამ, რომლებიც მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და კონცერნის ადმინისტრაციის მიერ სამუშაოდან დათხოვნილი ამხანაგების აღდგენას.

უკვე მეორე თვეა, რაც გრძელდება გენუის ნავსადგურის მუშათა გმირული გაფიცვა. ისინი იბრძვიან გემისშებატონეთა წინააღმდეგ, დემოკრატიული თავისუფლებებისათვის, შრომის უფლებისათვის.

ნავსადგურის მუშების მამაცურ ბრძოლას მხარს უჭერენ მთელი გენუის მშრომელები. 22 იანვარს ქალაქის საწარმოთა მუშებმა სოლიდარობის გაფიცვა გამოაცხადეს; 17 თებერვალს კი იფეთქა მთელი გენუის მშრომელთა საყოველთაო გაფიცვამ.

2 თებერვალს გენუის ნავსადგურის მუშებსამდა სოლიდარობის ნიშნად გაიფიცნენ ჩივიტა-ვეკიას მშრომელები, რამდენიმე დღის შემდეგ გაფიცვა მოედო ლივორნოსა და ვენეციის მუშათა რაიონებს. ქ. სავონაში მოვიდა სავაჭრო ხომალდი „ამოლონი“, რომელიც გენუაში უნდა გადმოეტვირთათ. სავონის მტვირთავებმა უარი განაცხადეს ხომალდის გადმოტვირთვაზე და თვითონაც გაიფიცნენ.

გენუის ნავსადგურის მუშათა გმირული ბრძოლა გრძელდება.

ლათინური ამერიკა

მუშათა მოძრაობა ლათინურ ამერიკაში სულ უფრო მძაფრ ხასიათს იღებს. გაფიცვამ, რომელიც ამას წინათ გამოაცხადეს ჰონდურასის მშრომელებმა, მოიცვა სოფლის მეურნეობის 70 ათასი მუშა, რკინიგზელები, მეშახტეები და სხვ. გაფიცვამ რამდენიმე დღეს თითქმის მთლიანად შეაჩერა ჰონდურასის ეკონომიური ცხოვრება.

კუბის შაქრის მრეწველობის ნახევარ მილიონზე მეტი მშრომელის მასობრივმა მოძრაობამ მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში აიძულა მრეწველები და მთავრობა ხელი აეღოთ ხელფასის დაკლების განზრახვაზე.

არგენტინაში უკანასკნელი თვეების განმავლობაში მოხდა მრავალი გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობდა მრეწველობის სხვადასხვა დარგის 30 ათასი მუშა და მოსამსახურე.

ჩილეში გამარჯვებით დამთავრდა მეშახტეთა, მეტალურგთა და ქვანახშირის კომპანიების ხომალდების პერსონალის გაფიცვა.

გასული წლის ბოლოს ბრაზილიის ქალაქ სანპაულოში ზედიზედ იფეთქა გაფიცვებმა. მალე საგაფიცვო მოძრაობის მძლავრმა ტალღამ მოიცვა რიო-დე-ჟანეირო, პეტროპოლისი, რესიფე, პორტ-ალეგრე და ბრაზილიის სხვა ქალაქები. მუშათა ეს გამოსვლები წარმატებით დამთავრდა — გამოცემულ იქნა ახალი კანონი ხელფასის მინიმუმის შესახებ.

ლათინური ამერიკის ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც დამყარებულია უოლ-სტრიტის დაქირავებული აგენტების სისხლიანი დიქტატურა — ვენესუელაში, კოლუმბიაში, კუბასა და პარაგვაიში — სულ უფრო ხშირდება მშრომელთა საპროტესტო გამოსვლები. თუმცა ეს გამოსვლები ჯერ კიდევ სუსტად არის ორგანიზებული, მაგრამ მოწმობს, რომ სულ მალე ამ ქვეყნებშიც ფართო ნაკადად ჩადგება ხასიათის მიიღებს მუშათა კლასის ბრძოლა თავისუფალი და ნათელი ცხოვრებისათვის.

დასავლეთი გერმანია

დასავლეთ გერმანიის მშრომელები რაც დრო გადის, მით უფრო ნათლად გრძნობენ თავის ძალას და უფრო აქტიურად ებმებიან თავიანთი ქვეყნის ცხოვრებაში. ეს გამოიხატება არა მარტო გაფიცვებით, არამედ სხვა გამოსვლებითაც. დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასი სულ უფრო აძლიერებს ბრძოლას რემილიტარიზაციის წინააღმდეგ. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და მუშათა კოლექტივებმა საწარმოებში მიიღეს მთელი რიგი რეზოლუციები მუშა ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურში გაწვევის წინააღმდეგ. პოლიგრაფიული და ქაღალდის მრეწველობის მუშათა პროფკავშირებმა უარი განაცხადეს დაებეჭდათ უწყებები გაწვევის პუნქტებში გამოცხადების შესახებ.

ბევრ ქალაქში მშრომელები წინააღმდეგობას უწევენ მილიტარისტების მიერ ორგანიზებული დემონსტრაციების მოწყობას და ხელს უშლიან ფაშისტი გენერლების გამოსვლებს. რურის მაღაროელებმა და ბერლინის მშრომელებმა გაფანტეს მილიტარისტული ორგანიზაციების „ფოლადის მუზარადისა“ და „ესესელთა ასოციაციის“ წევრთა კრებები და ჩამალეს სამხედრო დამნაშავეების კესელრინგისა და მანტოიფელის გამოსვლები.

ამას წინათ, ოგსბურგის მუშებმა და პროფკავშირულმა ახალგაზრდობამ ქალაქის კლუბის დარბაზიდან გააძევეს ფაქტიური სამხედრო მინისტრი ბლანკი. კიზერის სამხედრო მონარქიის წინააღმდეგ გერმანელ სოციალისტთა ლიდერის ავგუსტ ბებელის ლოზუნგი — „არც ერთი კაცი, არც ერთი პფენინგი არსებულ სისტემას!..“ —სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს აშკარად დასავლეთ გერმანიაში.

საფრანგეთი

ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამ საფრანგეთის მშრომელთა სამართლიანი რისხვა და აღშფოთება გამოიწვია. ხშირდება გაფიცვები, ანტიმილიტარისტული დემონსტრაციები. პარიზში გრძელდება ფირმა „სენრპატი და ბრისის“ მშენებელ მუშათა და საავტომობილო ქარხნის „პანრი და ლეგასორის“ მუშათა გაფიცვები, რაც ა. წ. 17 აპრილს დაიწყო. გაფიცვა გამოცხადა აგრეთვე საავიაციო საზოგადოება „ერ-ფრანსის“ რამდენიმე ათასმა მუშამ და მოსამსახურემ. პარიზის აეროდრომები ორლი და ლე ბურჟე დღემდე არ მოქმედებენ.

ფორის მთავრობის პოლიტიკით გამოწვეული საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები ეწყობა ლიონში. აქ 20 აპრილს გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 20 ათასამდე კაცი. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლებზეც ეწერა: „ძირს ომის გამჩაღებლები!“, „ძირს ვერმახტი, გაუმარჯოს ფრანგ და გერმანელ მშრომელთა სოლიდარობას!“

მასობრივი დემონსტრაციები და საპროტესტო გაფიცვები მოეწყო აგრეთვე ბორდოში, მარსელში, კლერმონ-ფერანში და სხვ.

ფრანგი ხალხის ეს საპროტესტო მოძრაობა დღითიდღე ფართოვდება.

ავსტრალია

მელბურნის დოკებში 12 აპრილს შემდეგ, დოკერების გაფიცვის შედეგად, არავითარი მუშაობა აღარ წარმოებს. ნავსადგურში უკმად დგას 50 გემი. მუშაობაზე უარი განაცხადა ნავსადგურის ყველა 5 ათასმა მუშამ.

გაფიცვა გამოცხადებულ იქნა დოკერთა ერთი ნაწილის სამუშაოდან დათხოვნის გამო, აგრეთვე იმ ანტიმუშური პოზიციის წინააღმდეგ, რაც დაიკავეს მეწარმეებმა სადღესასწაულო დღეების საკითხთან დაკავშირებით.

ელბაზე შეხვედრის საბჭოთა მონაწილეების გამგზავრება ვაშინგტონში არ მოეწყო

როგორც პრესა იუწყებოდა, ელბაზე საბჭოთა და ამერიკის ჯარების 1945 წლის 25 აპრილს შეხვედრის საბჭოთა მონაწილეების სახელზე „ელბაზე შეხვედრის ამერიკელ ვეტერანთა“ ორგანიზაციამ გამოგზავნა მიწვევა — დასწრებოდნენ აღნიშნული ორგანიზაციის კრებას, რომელიც უნდა გამართულიყო 25 აპრილს ვაშინგტონში.

ელბაზე შეხვედრის საბჭოთა მონაწილეების ჯგუფმა მიიღო მიწვევა ამერიკელ ვეტერანთა კრებაზე და განაცხადა, რომ მზად არის გაემგზავროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც კი ამერიკის მთავრობა ნებას დართავს მათ ჩავიდნენ შეერთებულ შტატებში.

19 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა, რომელშიც სთხოვდა გაეთვალისწინა, არის თუ არა შესაძლებლობა, რომ ამერიკაში შესასვლელი ვიზები მიიღოს ელბაზე შეხვედრის შვიდმა საბჭოთა მონაწილემ — გ. ს. გოლობოროდკომ, ა. ს. სელეზაშკომ, ვ. ბ. ნედომ, ე. ვ. როგოვმა, ფ. გ. მიტელმანმა, ა. ტ. გორდეევმა, ი. ა. სამჩუკმა.

ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დღემდე არ გაუცია პასუხი სამინისტროს ამ ნოტაზე და ამასთან დაკავშირებით ელბაზე შეხვედრის საბჭოთა მონაწილეების გამგზავრება ვაშინგტონში ამერიკელ ვეტერანთა კრებაში მონაწილეობის მისაღებად არ მოეწყო. (საკდესი).

მეცნიერული მიღწევების გაცვლა სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებს შორის

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული ინფორმაციის ინსტიტუტი ხელს უწყობს მეცნიერული მიღწევების ფართოდ გაცვლას საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებს შორის. 29 აპრილს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაწვრილებით განიხილა ინსტიტუტის მუშაობა და მისი შემდგომი პერსპექტივები. ინსტიტუტის დირექტორის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის დ. ი. პანოვის მოხსენებამ ცხადყო, რომ ინსტიტუტის კოლექტივმა უკვე შეასრულა მნიშვნელოვანი მუშაობა სარეფერატო ჟურნალების გამოცემისა და სხვადასხვა ნათარგმნი საინფორმაციო მასალებისა და მიმოხილვების გამოშვების დარგში. გამოშვებულია 100 ათასზე მეტი რეფერატი მეცნიერული ნაშრომებისა, რომლებიც გამოქვეყნდა უცხოთისა და საბჭოთა ლიტერატურაში ზუსტ მეცნიერებათა და ბუნებისმეტყველების ყველა დარგის მიხედვით. გამოდის ჟურნალები „მათემატიკა“, „მექანიკა“, „ასტრონომია და გეოდეზია“, „ქიმია“, „ბიოლოგია“, „ფიზიკა“, „ბიოქიმია“, „გეოლოგია და გეოგრაფია“. წლის დამლევს გამოვა ახალი ჟურნალები მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის დარგში. დიდად საინტერესოა „ექსპრეს-ინფორმაციების“ გამოშვება ტექნიკის დარგში, რომლებიც რამდენიმე სხვადასხვა სერიად გამოდის უცხო ქვეყნებიდან ახალი ტექნიკური მიღწევების შესახებ ცნობების მიღების მიხედვით.

მეცნიერებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის მუშაობის განხილვაში, შეიტანეს მრავალი წინადადება ინსტიტუტის მუშაობის შემდგომი გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით. (საკდესი).

გაზაფხული.

ფოტოტეტუდი ვ. გინზბურგისა.

ბრძანება

თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი

1955 წ. 29 აპრილი. № 11. ქ. თბილისი.

თბილისის გარნიზონის ჯარების პარადის შესახებ 1955 წლის 1 მაისს

§ 1.

1955 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **ი. ი. ფედიუნინსკი.**

§ 3.

პარადის სარდლობა მებრძანა მე.

§ 4.

პარადის დასაწყისი დილის 9.00 საათზე მოსკოვის დროით.

§ 5.

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

§ 6.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო, პარადოა.

§ 7.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 8 საათსა და 30 წუთზე.

§ 8.

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოდპოლკოვნიკმა **ი. ტ. მაკუშევმა** მოახდინოს საარტილერიო სალუტი ჩემიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

თბილისის გარნიზონის უფროსი
გენერალ-მაიორი ვ. ფ. გლადკოვი.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 4 მაისს.

რედაქტორი ნ. ჯაში.

საგაზაფხულო სეზონი უოლ-სტრიტის სტადიონზე

(საერთაშორისო მიმოხილვა ნახატებით)

უოლ-სტრიტის სტადიონზე სეზონის გახსნასთან დაკავშირებით დიდი გამოცოცხლებაა. გაჩაღებულია შეჯიბრება და წვრთნა ყველა სახეობის ამერიკულ „სპორტში“.

პირველ პლანზე (მარცხნივ) დადგმულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის (სეატოს) ტრამპლინი ოკეანეზე გადასახტომად. მახლობლად ვარჯიშია ეკლიან მავთულზე ატომ-წყალბადის ბომბებით. ოკეანეს გაღმა არსებული „სასპორტო“ ტერმინოლოგიით ამ ვარჯიშს ეწოდება „შეიარაღებისა და ძალის წონასწორობა“.

გვერდით ამერიკული „სპორტის“ მიმზიდველი სახეობაა —„ვინ ვის ჩამოაგდებს?“ უოლ-სტრიტელებს ძალიან უყვართ ამ სახეობის სპორტი, რადგან მათთვის სულ ერთია, ვინ გაიმარჯვებს, ორივე მათ ინტერესებს იცავს. გულუბრყვილო ადამიანებმა კი შეიძლება იფიქრონ, რომ ამ თამაშს ეწოდება „ბრძოლა ამერიკული დემოკრატიისათვის“.

იქვე დგას კაკოტრებული ჩან კაი-შის ფიტული.

სტადიონზე ცენტრალური ადგილი უჭირავს სასპორტო იარაღს — „გიგანტურ ნაბიჯებს“, რომლებითაც იმპერიალისტური ქვეყნები „ისწრაფვიან“ განიარაღებისაკენ.

ზემოთ თურქეთის რეაქცია ასრულებს ძალოსნურ ვარჯიშს ამერიკის სამხედრო ბლოკის მხარდაჭერით.

მარჯვნივ ზემო კუთხეში ვარჯიშობენ ბენილუქსელები სიმძიმეთა აწევაში.

მათ ქვემოთ მოედანია, რომელზეც სრულდება სპორტული თამაში „წინ აყვავებისაკენ“. ეს თამაში გავრცელებულია ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნის გამგებელთა შორის. ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიღებული „სესხით“ შებორკილს, რომელსაც შეიარაღების მძიმე ტვირთი ჰკიდია, წინ ნაბიჯის გადადგმა ვერ მოუხერხებია.

ქვემოთ გამართულია აზიასა და აფრიკაში გავლენის სფეროებისათვის ბრძოლაში „ამხანაგური“ შეხვედრა. თუმცა ეს ორი „მეგობარი“ გართულია ერთობლივი „მუშაობით“ აგრესიული ბლოკებისა და კავშირების შესაკოწიწებლად, მაგრამ ისინი მაინც პოულობენ დროს, რომ „სპორტსაც“ მოჰკიდონ ხელი. უფროსი „სპორტსმენი“ ისეა გატაცებული, რომ ყოველ მომენტში შეუძლია დაეძგეროს თავის უმცროს „პარტნიორებს“ ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო კავშირში, რომლებიც გაუბედავად დგანან გვერდით და შემკრთალნი უყურებენ მძიმეწონოსანთა ჭიდილს.

ტექსტი და ნახატი მ. ოთაროვისა.

ელბაზე შეხვედრის საბჭოთა მონაწილეების გამგზავრება ვაშინგტონში არ მოეწყო

როგორც პრესა იუწყებოდა, ელბაზე საბჭოთა და ამერიკის ჯარების 1945 წლის 25 აპრილს შეხვედრის საბჭოთა მონაწილეების სახელზე „ელბაზე შეხვედრის ამერიკელ ვეტერანთა“ ორგანიზაციამ გამოგზავნა მიწვევა — დასწრებოდნენ აღნიშნული ორგანიზაციის კრებას, რომელიც უნდა გამართულიყო 25 აპრილს ვაშინგტონში.

ელბაზე შეხვედრის საბჭოთა მონაწილეების ჯგუფმა მიიღო მიწვევა ამერიკელ ვეტერანთა კრებაზე და განაცხადა, რომ მზად არის გაემგზავროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც კი ამერიკის მთავრობა ნებას დართავს მათ ჩავიდნენ შეერთებულ შტატებში.

19 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა, რომელშიც სთხოვდა გაეთვალისწინა, არის თუ არა შესაძლებლობა, რომ ამერიკაში შესასვლელი ვიზები მიიღოს ელბაზე შეხვედრის შვიდმა საბჭოთა მონაწილემ — გ. ს. გოლობოროდკომ, ა. ს. სელეზაშკომ, ვ. ბ. ნედომ, ე. ვ. როგოვმა, ფ. გ. მიტელმანმა, ა. ტ. გორდეევმა, ი. ა. სამჩუკმა.

ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დღემდე არ გაუცია პასუხი სამინისტროს ამ ნოტაზე და ამასთან დაკავშირებით ელბაზე შეხვედრის საბჭოთა მონაწილეების გამგზავრება ვაშინგტონში ამერიკელ ვეტერანთა კრებაში მონაწილეობის მისაღებად არ მოეწყო. (საკდესი).

მეცნიერული მიღწევების გაცვლა სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებს შორის

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული ინფორმაციის ინსტიტუტი ხელს უწყობს მეცნიერული მიღწევების ფართოდ გაცვლას საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებს შორის. 29 აპრილს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაწვრილებით განიხილა ინსტიტუტის მუშაობა და მისი შემდგომი პერსპექტივები. ინსტიტუტის დირექტორის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის დ. ი. პანოვის მოხსენებამ ცხადყო, რომ ინსტიტუტის კოლექტივმა უკვე შეასრულა მნიშვნელოვანი მუშაობა სარეფერატო ჟურნალების გამოცემისა და სხვადასხვა ნათარგმნი საინფორმაციო მასალებისა და მიმოხილვების გამოშვების დარგში. გამოშვებულია 100 ათასზე მეტი რეფერატი მეცნიერული ნაშრომებისა, რომლებიც გამოქვეყნდა უცხოთისა და საბჭოთა ლიტერატურაში ზუსტ მეცნიერებათა და ბუნებისმეტყველების ყველა დარგის მიხედვით. გამოდის ჟურნალები „მათემატიკა“, „მექანიკა“, „ასტრონომია და გეოდეზია“, „ქიმია“, „ბიოლოგია“, „ფიზიკა“, „ბიოქიმია“, „გეოლოგია და გეოგრაფია“. წლის დამლევს გამოვა ახალი ჟურნალები მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის დარგში. დიდად საინტერესოა „ექსპრეს-ინფორმაციების“ გამოშვება ტექნიკის დარგში, რომლებიც რამდენიმე სხვადასხვა სერიად გამოდის უცხო ქვეყნებიდან ახალი ტექნიკური მიღწევების შესახებ ცნობების მიღების მიხედვით.

მეცნიერებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის მუშაობის განხილვაში, შეიტანეს მრავალი წინადადება ინსტიტუტის მუშაობის შემდგომი გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით. (საკდესი).

თბილისის თეატრებში

1 მაისს

ოპერისა და ბალეტის — პიკის ქალი, რუსთაველის სახელობის — დღესასწაული საკრეულაში, მარჯანიშვილის სახელობის — რაიკომის მდივანი, გრიბოედოვის სახელობის — პორტ-არტური, სომხური დრამის — კამო, მუსიკალური კომედიის — ბრწყინვალე მომავალი, მოზარდ მაყურებელთა რუსული — დაგვიანებული სიყვარული (7 ს.).

2 მაისს

ოპერისა და ბალეტის — მშვიდობისათვის (დილას), აიდა (საღამოს), რუსთაველის სახელობის — ოტელო (დილას), ოჯახი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — მაია წყნეთელი (დილა-საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — მოგზაურობის წლები (დილას), ტურბინთა დღეები (საღამოს), სომხური დრამის — მშობლიური ქვეყანა (დილას), სალათნოვა (საღამოს), მუსიკალური კომედიის — ორი რეკორდი (დილას), პერიკოლა (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი № 46, 10 ს., აბონემენტი № 7, 2 ს.), ბაში-აჩუკი (აბონემენტი № 37, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — წითელი ყელსახვევი (11 ს.), ესპანელები (8 ს.).

კინოთეატრებში

1 და 2 მაისს

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის, ვორონეშელოვის, გორკის სახელობის კლუბები — ვეფხვების მომფვინიერებელი, კომკავშირელი — თქმულება ციმბირის მიწაზე, კოლხიდა — ქეთო და კოტე, დიდუბე — ჩემი პატარა მეგობარი, კოლმეურნე — ხუთნი ბარსკის ქუჩიდან, კროვის სახელობის პარკი — ალსენა, ოფიცერთა სახლი — მოსკოვს დაშორებით (1 მაისს), ოქროს ვარსკვლავის ალეკერი (2 მაისს), კომუნარების ბაღი — დარიკო.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

1 მაისს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
„ა“ კლასი
ცდსა (მოსკოვი) — **„დინამო“** (თბილისი)
დუბლიორთა შემადგენლობა
დასაწყისი 4 საათზე.
ცდსა (მოსკოვი) — **„დინამო“** (თბილისი)
ძირითადი შემადგენლობა
დასაწყისი 6 საათზე.
წვიმიანი ამინდის შემთხვევაში დუბლიორების თამაში გადატანილ იქნება 26 კომისრის რაიონის სტადიონზე.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

2 მაისს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
„ბ“ კლასი
„ტორპედო“ (გორკი) — **ოფიცერთა საოლქო სახლი** (თბილისი)
დასაწყისი 4 საათზე
ბილეთების გაყიდვა იწარმოებს 2 მაისს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

თბილისის სახელმწიფო სირკე

1 და 2 მაისს
ზამთრის სეზონის დახურვა
იუმორისა და სატირის სალამოები და კლოუნადა
მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ცირკის მსახიობი
კონსტანტინე ბერმანი
მსახიობები: ა. არონოვი, ვ. ბაიდინი, ლ. მიხაილოვი, ვ. უსპენსკი.
ძალოსანთა ატრაქციონი მსოფლიოს რეკორდსმენი
ბრიგოლ ნოვაკი
დიდი პარადი — პროლოგი
სადღესასწაულო წარმოდგენა. საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატების მონაწილეობით
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

ორშაბათს, 2 მაისს,
დღის ორი საბავშვო სადღესასწაულო წარმოდგენა
დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.
ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში, რუსთაველის პროსპ. № 1 და ჩელიუსკინელების ქ. № 31.
მიიღება განცხადებები კოლექტიურ დასწრებაზე. ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მეშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმობილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ეროვნებათა ურთიერთობის, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-51-81, გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობის დირექტორისა—3-65-41, სტამბის დირექტორისა—3-77-70.

ᲣᲔ 00195 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.